ზაფხულის ღამე გაილია: ყმაწვილმა ქალმა მსახურები დაითხოვა. სადაცაა ინათებს. ეიფელის კოშკის თავზე, ცას ერთი კაშკაშა ვარსკვლავი შემორჩა უძრავად; ღამის კიდეს ნათელი შეეპარა.

ალენ-ფურნიე,
8 ივნისი, 1913 წელი

გაფრთხილება

80-იან წლებში ღამეული გართობის მოყვარულთა შორის ახალი ნარკოტიკი გამოჩნდა: MDMA, მეტსახელად "ექსტაზი". ეს "სიყვარულის აბი" უცნაურ ეფექტს იწვევს: სიმხურვალის მოზღვავება, მთელი ღამის განმავლობაში ტექნო-მუსიკაზე ცეკვისა და ალერსის სურვილი, კბილების ღრჭიალი, გაძლიერებული დეჰიდრატაცია, ეგზისტენციალური კაეშანი, თვითმკვლელობის მცდელობა, დაქორწინების დაუოკებელი სურვილი. ამ მძიმე ნარკოტიკს ახასიათებს აღმასვლები და დაღმასვლები, როგორც "რუსულ მთებს" და ზოგიერთი ამერიკელი მწერლის ნოველებს. წიგნის ავტორი ექსტაზს აღარ იღებს და მკითხველსაც ამას ურჩევს: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ექსტაზი კანონით აკრძალულია და, მეორეც, ტვინს ვნებს. ამას მოწმობს წინამდებარე მოთხრობები, რომლებიც ექსტაზის კაიფში დაიწერა. და თანაც, რა საჭიროა რაღაც კაფსულა იმისთვის, რომ ჩვენი ცხოვრება უცნობებს ვუამბოთ? ლიტერატურა ხომ სწორედ ამისთვის არსებობს?!

ფ. ბ.

სევდა რუასი-შარლ-დე-გოლის აეროპორტში

ჩაყლაპე? ჩაყლაპე? ჩაყლაპეჩაყლაპეჩაყლაპე? ვინ ხართ? რატომ მომიახლოვეთ სახე ზედ ცხვირთან? რას მებლატავებით? ნაღდად წაიკითხეთ ჩემი ბოლო წიგნი? მაძლევთ გარანტიას, რომ არ მესიზმრებით? მართლა ასეთი ლამაზი წითელი პირი გაქვთ? გონივრულია, ასეთი საყვარელი იყო, თან ოცდაერთი წლის და XXXS ზომის მაისური გეცვას? გესმით, რაზე მიდიხართ, ასეთი ლურჯი თვალებით ქათინაურებს რომ მეუბნებით?

რატომ ვიოფლიანებ ჩემს ხელს თქვენსაში? რატომ მანდომებს თქვენი მუხლები გარდამავალი ზმნების გამოგონებას? ჯერ ეს მითხარი, რომელი საათია? რა გქვიათ შენ? გინდა ცოლად გამომყვეთ? შეგიძლია მითხრა, სად ვართ ახლა? ეს რა საწუწნი კანფეტი გვაქვს პირში? ან ეს ლაზერის სხივები რატომ კვეთენ თხევადი ჰაერის ფენებს? ვისია ეს ორლიტრიანი შამპანურის ბოთლები, თავზე რომ დაგვწუიან? როდის იწყებს ადამიანი სინანულს, რომ ამ ქვეყანას მოევლინა? იცი, რომ მშვენიერი თვალები გაქვს, იცი? რატომ ტირით? როდის მაკოცებ? გნებავთ კიდევ არაყი? კიდევ როდის ვიზასაოთ? რატომ აღარ ცეკვავთ? ვინ არის ეს ხალხი? შენი მეგობრები თუ ჩემი მტრები? გაიხადე, რა,

ეგ პულოვერი, გეთაყვა?! რამდენი შვილი გავაჩინოთ? რომელი სახელები მოგწონთ?

ახლა რა ვქნათ? ჰაერზე ხომ არ გავიდეთ? უკვე გარეთ ვართ? შენთან მივდივართ თუ ჩემთან? ტაქსს ხომ არ გამოვუძახო? ფეხით გირჩევნია? რატომ უნდა ავიაროთ ისევ შანზ-ელიზეს გამზირი? რა? მოკასინები გავიხადოთ და ფეხშიშველი გავუყვეთ ასფალტს? არასერიოზული საქციელია. ერთი კოვზი წამალი ხომ არ შეგვეხურებინა უცნობი ჯარისკაცის საფლავზე? შეყვარებული გყავს? რატომ ვფიქრობ იმაზე, რაზეც შენ? რა, ბევრი გინახავს, ერთდროულად ერთსა და იმავეს ამბობდეს? რატომ გვთირავს ეს პოლიციელი? რატომ არტყამენ წრეებს ეს მანქანები ტრიუმფალურ თაღს? რატომ არ ბრუნდებიან შინ? ჩვენ რატომ არ ვბრუნდებით შინ? რამდენ ხანს უნდა დავრჩეთ აქ, ეტუალის მოედანზე და ვიზასაოთ გაგანია ყინვაში? არ ჯობს, საწოლში ვისიყვარულოთ სხვებივით?

შენ გგონია, კარგად მოვიქეცით, კეპი რომ მოვპარეთ? შენ თვლი, რომ ჩვენ უფრო ჩქარა დავრბივართ, ვიდრე ეს პოლიციელები? შენია ეს მოტოციკლეტი? დარწმუნებული ხარ, რომ ახლა ტარება შეგიძლია? ხომ არ ჯობს, ცოტა შეანელო? რატომ მიდიხარ წრეზე? შენ რა, მაგარი გგონია, მოხვევისას ასე გადახრა, თანაც საათში 180-ით? როდის აქეთ დართეს სლალომით სიარულის ნება სატვირთო მანქანებს შორის დილის ექვს საათზე? ხვალ გათენდება? რატომ მივდივართ აეროპორტ რუასი-შარლდე-გოლში? ცხოვრება იცვლება, როცა ქალაქს გამოიცვლი? რა საჭიროა მოგზაურობა ამ ერთგვაროვან სამყაროში? არ გცივა? აბა, მარტო მე მომეყინა ყვერები? ბატონო? ჩემი სიტყვები არ გესმის, იმიტომ რომ ჩაფხუტი

გაქვს ჩამოცმული? ესე იგი, ათასი სისულელე შემიძლია ვიყვირო? ვთქვათ, ვიმღერო "I wanna hold your hand"? ან გავაგრძელო ტყუილები და თან გეფერო ზურგზე პულოვერის ქვეშ, მერე ლიფიან ძუძუებზე, მერე თითები ჩაგიყო საცვალში, ჯანდაბა, იქნებ ამის მერე მაინც შეანელო?

სად უნდა გავაჩეროთ? აეროსადგურ 1-ის წინ თუ პარკინგზე? პარკინგის ამ ადგილს რატომ აქვს ნომერი 1D6? "ენდესიზ"-ს წააგავს არა? – "მერყევს". რამდენ ხანს მოქმედებს ეს აბი? რატომ იღება ავტომატური კარები შეხებამდე? რატომ გვაფიქრებინებს ეს მკრთალი ნეონები, რომ მთვარეზე ვხტუნაობთ? მართლა ექვსმეტრიან ნაბიჯებს ვადგამთ თუ გვეჩვენება? შეგიძლია ისევ მაკოცო, გეთაყვა? ხომ არ შეწუხდები, პირში რომ გაგითავო? თანახმა ხარ, რომ ტუალეტში ჩავიკეტოთ და სახე გაგიჟიმო? აიტან, ფისუნია რომ აგილოკო?

კარგი იყო? ძალიან ძალიან კარგი იყო? ნაღდად, რა, სუპერი! ოღონდ რომელი საათია? რატომ ცვლის ყოველთვის ღამეს დღე? მოძრავ გზაზე საპირისპირო მიმართულებით სიარულს პლექსიგლაქსის უზარმაზარ უთავბოლო მილებში, რომლებიც 70-იან წლებში ჩამოასხეს და წააგავს ხელოვნურად სასუნთქ მილებს, ყელში რომ თხრიან ავტოკატასტროფაში მოყოლილებს... გესმის? იმას გეუბნებოდი, რომ რუასიში სულელებივით ყიალს, არ ჯობს თვითმფრინავში ჩავსხდეთ? პირველსავეში გასაფრენი თვითმფრინავების სიიდან? სულ ერთია, სად წავალთ, ოღონდ აქედან წავიდეთ, კარგი? რომ ეს ამბავი არასდროს დასრულდეს? გავფრინდეთ ვენესუელაში ან ბელორუსიაში ან შრი ლანკაში ან ვიეტნამში? იქ, სადაც ახლა მზე ჩადის? ხედავ იმ მიმართულებებს, მბრუნავ ასოებს

ჩხაკუნით რომ გამოყავთ ძველებურ ელექტროტაბლოზე: დუბლინი? კიოლნი? ორანი? ტოკიო? შანხაი? ამსტერდამი? მადრიდი? ედინბურგი? კოლომბო? ოსლო? ბერლინი? ყველა ქალაქი შეკითხვაა? გული გწყდება, თვითმფრინავები გასაფრენ ბილიკს რომ სწყდებიან? იცი, იმ თვითმფრინავებში ლურჯი ბორტგამცილებლები არიან და ალბათ უკვე ცელოფანში შეფუთულ პირველ საუზმეს სთავაზობენ ლექსომილით გაბრუებულ ბიზნესმენებს? გესმის, გამგზავრების მაუწყებელი განცხადება, მონოტონურად რომ ღეჭავს მოწყენილი ბორტგამცილებელი ელექტრონული სიგნალის შემდეგ? სანამ წავალ, შეიძლება, კიდევ მოგეფერო ტუჩებზე? რომელი უფრო ადრე წავალთ, მე თუ შენ? რატომ, ოჰ, رااااატომ უნდა დაგემშვიდობო?

შენც ჩემსავით გეწყება დეპრესია აეროპორტებში? არ გგონია, რომ ასეთ ადგილებში ერთგვარი პოეზიაა? გამგზავრების მელანქოლია? შეხვედრების ლირიზმი? კონდიცირებული ემოციებით გაჯერებული ჰაერი? რამდენ ხანს გრძელდება დაშვება? ეს ქიმიური არდადეგები რომ არა, იარსებებდა ჩვენი სიყვარული? როდის მოვრჩებით ჩუმად ჯდომას და განთიადის ყურებას ამ ცარიელ კაფეში? რატომაა დაკეტილი პრესის ჯიხურები და გამორთული ყველა ვიდეოთამაში? გშურს ამ საშუალო ფენის კადრების, ნარინჯისფერ სავაძლებში ჩასვენებულები თავიანთ რეისს რომ ელოდებიან ლინოლიუმით მოგებულ მოსაცდელ დარბაზებში და ავტომატის ყავას მიირთმევენ? რა უნდა ვიფიქრო ამ მებაჟეზე, პირიდან რომ სიმყრალე ამოსდის, ამ ტექნიკურ მოსამსახურეზე, ნაგვის ყუთს რომ მიახრიგინებს, ამ მაწანწალებზე, პლასტმასის იასამნისფერ სკამებზე რომ ხვრინავენ? რისი თქმა უნდათ? რომ აღარსად

არის გასაქცევი? რომ ვერასდროს გაექცევი საკუთარ თავს? რომ მოგზაურობით ვერსად წახვალ? რომ ან მთელი ცხოვრება არდადეგებში უნდა გაატარო ან არასდროს დაისვენო? შეგიძლია გამიშვა ხელი, გეთაყვა? ვერ ხვდები, როგორ მინდა მარტო დარჩენა ამ მიტოვებულ ბარგთან? ხომ შეიძლება, უბრალოდ დავშორდეთ ერთმანეთს, თუნდაც გუჩის "ენვის" რეკლამის წინ?

აი, ვუყურებთ დაბინდული თვალებით, როგორ მიფრინავენ 747-ები და ერთი კითხვა მაინც მიტრიალებს თავში: ჩვენ რატომ არა ვართ ბორტზე?

მოდიდან გამოსული ტექსტი

ნიუ იორკი, at last. ერთბაშად მიატოვა ფუფუნებით თავმოყირჭებული, უშინაარსო ევროპული ღამეების სიზანტე, რადგან დადგა დრო, ჩაედინა დაუფიქრებელი საქციელი, რაიმე ხუშტური, რომელსაც მხოლოდ მისი უაზრობა გაამართლებდა. ჯანდაბა! ასწორებს იმპროვიზირება! საღამოს წვეულება ცხოვრებასავითაა. წარმატებული მაშინ იქნება, თუ ცუდად დაინყო.

წასვლა: ეს სიტყვა იშვიათად სრულდება. სიტყვები ოცნებად კი არა, ცხოვრებად უნდა აქციო. ტაქსის დაბინდული მინებიდან ბრიანი ტკბება მსოფლიოს დედაქალაქის ისტერიული ცათამბჯენებით. პარიზიდან წასვლის იდეა მაშინ მოუვიდა თავში, როცა დაბნეულად საუბრობდა მარტასთან, ერთ პატარა, ლოყებპუტკუნა, მაგრამ ძალიან მდიდარ ამერიკელ გოგონასთან. მარტა პირველი გამოელაპარაკა. ბრიანი იდგა სივრცის წინაშე სახლის ტერასაზე, საიდანაც ღამაზი ხედი იშლებოდა. სწორედ ამ დროს მიუახლოვდა მარტა და გრძელ მონოლოგად მოახსენა თავისი უძრავი ცხოვრების ამბავი. მოწყენილობისგან რომ გული არ წასვლოდა, ბრიანმა გადაწყვიტა, გაქცეულიყო, დაუსრულებელი ფრაზის შუაში დაეტოვებინა ქალაქი და გამომთვრალიყო თვითმფრინავში.

ეს ამბავი იწყება დილის ექვსის ნახევარზე, თუმცა მთავარი გმირი, ამ წუთას, ვერაფრით შეძლებს ამოიცნოს, რომელი საათია. თავისი უბადრუკი მდგომარეობით გაამაყებული ბრიანი ზეზეულად მიღოღავს. B გამზირზე, ერთ უჟმურ ბარში შეკრებილ ჭრელაჭრულა ხალხში ის ერთადერთი პერსონაჟია, რომელიც სმოკინგშია გამოწყობილი გაგანია აგვისტოში. ამ დისჰარმონიას ამცირებს ძილნაკლული პატრონივით დაჭმუჭნილი ყელსახვევი. ბრიანს სიამოვნებას ჰგვრის იმის გაფიქრება, რომ იგივე ტანსაცმელშია, რაც რვა საათის წინ ატლანტიკის გადაღმა ეცვა.

სავსე მთვარე კრაისლერის ფირმის გაჩახჩახებული შენობის წვერზე შემოჯდა. ბრიანს აღარ დარჩა გასახვევი ქაღალდი და ჩაფიქრებული თითებში ატრიალებს უმაქნის ბალახს. გადავსებული სანაგვეებიდან ნაგავი პირდაპირ ტროტუარზე იყრება, ხოლო მეტროს თბილ ცხაურზე მიძინებული ფეხშიშველა ზანგი გაშვერილი ხელის პოლიტიკას ეწევა. არა, ამ დილით ბრიანი არ აღებინებს. ნათელი გონება უნდა შეინარჩუნოს. ამისთვის საკმარისია, სასმელები არ აურიოს. ბოლოს და ბოლოს, რეალობაზე გამარჯვება სხვა საშუალებებითაც შეიძლება და სულაც არაა აუცილებელი ყოველღამე გაითიშოს... უფრო სახიფათო საშუალებებს გულისხმობს, რა თქმა უნდა. მაგრამ დავიწყების ძიება ყოველთვის ერთნაირია: დრო ჩერდება, მომავალი ადგილს უთმობს მარადიულ აწმყოს. ჭირსაც წაუღია ადგილის და დროის ცნებები – უკვე გათენდა? ვინ არის ეს ხალხი? სად გაქრა ჯინი? რატომ უკრავენ ამ დისკს? ყველაფერი ნისლში იძირება. თვალგაშტერებული მთვარეულივით მიაბიჯებ ხალხის ბრბოში, დაეხეტები ჩაბნელებულ ქუჩებში, ტარაკნებსა და მაწანწალებს შორის. ბოლოს კი, ბედნიერი ღიმილით სახეგაბადრული ცხვირით ემხობი გზისპირა არხში ან იშხლართები შიშველი ქალის სხეულზე, რომელიც ვერაფრით ვერ გაჟიმე, და ხელმოცარული იძინებ.

ასეა თუ ისე, ბრიანის აზრით, ამ საუკუნის დასასრულს ელეგანტურობას წინასწარ ვერ გათვლი. დენდიზმი, ფული და მანკიერი ჩვევები დაბადებიდანვე დაჰყვა – მეორე კანივით. დღეს ის წამებული ხელოვანი ან, თუ გნებავთ, ტექნოლოგიით გამდიდრებული კიბერ-პანკია, მაგრამ ხვალ... იქნებ ისევ სკეპტიკური მამიკოს ბიჭი გახდეს, განა ამაზე არ მეტყველებს მისი გატაცება ქუდებით, საყურეებით და მარქსისტული რევოლუციებით?

არადა, რა ადვილი იქნებოდა ახლა დაძინება. მაგრამ ბრიანმა უკვე გამოსაფხიზლებელი კაფსულა ჩაყლაპა და ისე წავიდა, ლამაზ მიმტანსაც არ გაკარებია. მისი ნაბიჯების ქვეშ სველი ტროტუარი უფსკრულივით ბრწყინავს და ათასობით კუდიან ვარსკვლავს აფრქვევს. ბრიანი ფიქრობს: შეუვარდეს თუ არა იმ ყვითელ სატვირთო მანქანას? ყოყმაობს; და თუ არ უვარდება, მხოლოდ იმიტომ, რომ ამჯობინებს შიგნიდან გაიჭყლიტოს. ნისლში კოკისპირულად წვიმს (ჩინური რესტორნის სინათლე მცურავია და იდღაბნება, სამრეცხაოს ფანჯრები კი თეთრ ქულებს არწყევენ). ბრიანს სურს, ცოტა ფეხით გაიაროს და თავს აღარ იწუხებს იმით, რომ თმები უკან გადაისლიპოს, ამას მწველი წვიმაც მოახერხებს. და თუ მაკიაჟი ჩამოედღაბნება, ძალიანაც კარგი... ნამდვილ მოჩვენებად რომ იქცე, მარტო ფერმკრთალი სახე არ კმარა.

დაჟანგული კიბეების გადაღმა თენდება და ბრიანი მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობს: დაბლა არ ჩავიდეს, სანამ საუზმის დრო არ მოვა. საერთოდ, მისი ცხოვრება მხოლოდ ყოყმანია და სხვა არაფერი. იმ საღამოსაც: ძალით უნდა იხარხაროს, თავი დაიჯეროს, რომ რესტორან "ბალტაზარში" საერთაშორისო ელიტაა შეკრებილი, ამოისვაროს სადო-მაზოხისტური კლუბის Hellfire ტალახში, დაყნოსოს SPY-ს ტუალეტში, ან სოდომის ცოდვა ჩაიდინოს ცრუ ჰერცოგის ქალთან ერთად "სილვერ შედოუს" უკანა სკამზე ათასნაირად მოგრეხილმა? სინამდვილეში კი, ბრიანს მხოლოდ თავგადასავლების სურვილი კლავს, ისეთი თავგადასავლებისა, რომლებიც წინ აღუდგება ამ ზედმიწევნით გონივრულ ეპოქას. ნეტავ, თუ შეიძლება იფიქრო ბოდლერივით და ილაპარაკო ბუკოვსკის სიტყვებით? "ისტ ვილიჯის" loft-ის ლითონის იატაკზე ჩაცუცქული ყურადღებით ათვალიერებს ძველი, ეგზოტიკური ვინილის ფირფიტის ღარებს და თანამედროვე კომპაქტური დისკების უხამს სიმღერებს ღნავის.

როდესაც იღვიძებს, უკვე ღამეა. გადაწყვეტილება მიღებული აქვს: ნაბახუსევზე გამომშრალი პირი უნდა გაისველოს "ქაოსში". ყველას უნდა დაანახოს, რომ ცოცხალია. რას იზამ, გამოჭერაზე არიან. როგორ ითქმის, როცა ტუჩის საცხი შავია და არა წითელი? ბრიანი ვერაფერს ხედავს მზის სათვალეში, რადგან მზე ღამით არ ანათებს. მერე რა: მთავარია, პატივისცემა შეინარჩუნოს.

უნდა იცხოვრო 800 კმ-ით საათში და მერე ეგრევე დაიბრიდო, ტვინი სპერმასავით დაანთხიო კაპოტზე. 800 კმ საათში ძალიან სწრაფია და ვერ მოასწრებ ზაფხულის შლაგერის ბოლომდე მოსმენას. უნდა იყო გაუმაძღარი მეტეორიტი, რომელსაც ვერავინ ვერაფერს გამორჩება. რაც მთავარია, მიიზიდო ყოველგვარი სულელური საფრთხე, განსაკუთრებით ღრუბლიან ამინდში. დეკადანსი მხოლოდ გამოსყიდვის გზების ძიება არ არის, იგი ცხოვრების ყაიდაა. ტაქსები სულ ტყუილად ასიგნალებენ, ხოლო სასტუმროს ნეონის ნათურები იმიტომ ციმციმებს, რომ დაზიანებულია.

"ქაოსის" ყველა სართულზე ცხელა, უფრო მეტად, ვიდრე გარეთ. ცეკვა სხეულის მეტყველებაზე მეტია: რიტმი მატულობს, თავის ქალა გისკდება, მელოდიას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია ხმამაღლა ჟღერდეს. სულის მოთქმა შეუძლებელია, რადგან გიჟური გარეგნობა გიჟურ მოძრაობებს მოითხოვს. ბრიანს აღარ ახსოვს, დიდი ძუძუები უფრო მოსწონს, თუ პატარა.

კარგი, გვეყო იმის ყურება, თუ როგორ ინგრევა ჩვენი ცხოვრება: სჯობს, სხვისი ცხოვრება დავანგრიოთ. ამ ფლუორესცენტული ფრჩხილებისა და თმების პატრონმა გოგონამ, ეტყობა, ზედმეტი ვოდკა-ტონიკი დალია. ახლა პორნო-ვიდეოს წინ ძინავს. ცხოვრება წამია. დღეს უნდა იცხოვრო. ხვალინდელ დღეს რა მნიშვნელობა აქვს, ოღონდ კი დღევანდელზე უარესი გამოდგეს. ცოტა ხანში ძილ-ბურანში მყოფი ბრიანი ადგება და დახატავს ქალის სილუეტს თეთრი საღებავით შავ კედელზე. ბინაში ჰაერი აღარ ეყოფა, გარეთ მით უმეტეს. მუცლით გაერთხმება რბილ იატაკზე. ფეხქვეშ კი ნამცეცები ეყრება.

არსებობს კი მობილური ტელეფონის ზარით გამოღვიძებაზე უფრო საშინელი წამება? კაეშნით შეზავებული გაბმული წივილი ძლიერდება, იქცევა ჩაქუჩად, მატარებლის მუხრუჭებად, ტკივილით გამოწვეულ ყვირილად, ყუ-

რის წამღებ წრიპინად, რომელიც კვეთს დილის სიცარიელის მძიმე მდუმარებას. უნდა უპასუხოს, სხვა რა გზაა. ფეხებში ებლანდება ცარიელი ბოთლები (ძველი სასმელების, რომელთა სახელებზეც შეიძლება ენა მოიტეხო), შუბლით გააქვს შეღებული კარი, მთელი სხეულით ებერტყება ცივ ფოლადზე და მარცხენა ხელს ჰყოფს რაღაც წებოვან გუბეში. საფეხურებდალეულ და მოაჯირმორღვეულ გარეთა კიბეზეც კი არ წაიმტვრევ ასე კისერს.

წუხანდელიდან არაფერი ახსოვს, საღამოსთვის კი არავითარი გეგმა არ აქვს. ახლა იმასაც იკმარებდა, კლასიკური მუსიკისთვის მოესმინა და გამორთულ ტელევიზორში არეკლილიყო. ან მიშტერებოდა ჭერს და ეფიქრა იმდენად რთულ პორნოგრაფიულ სურათებზე, რომელთა აქ აღწერა გაჭირდებოდა. ღმერთო, რა ქნას, როგორ დაიბრუნოს მოძრაობის უნარი? გულისრევა რომ შეიკავა, ეს დიდს არაფერს ნიშნავს. საუკუნის დასრულებას უნდა დაელოდოს. არადა, რა ნელა ინავლება!

ბრიანი წამოდგება და ცეკვის ერთ პას მოხაზავს. მერე წელში იმართება და მისი მხედველობის არეში (რომელიც შემოსაზღვრულია ოთახის უზარმაზარი ფანჯრით) ვერტმფრენი ექცევა. შემდეგ დივანზე იშხლართება და, ბოლოს, ტელეფონსაც პასუხობს. რატომ არ ებმებიან ობობები საკუთარ ქსელში? ღრუბლები სწრაფად მიქრიან და მალე მზეც გამოჩნდება ასფალტის გასახურებლად. ისევ აქ ვარ, სიცოცხლეს ვაგრძელებ. სიამოვნებას ერთი უპირატესობა აქვს: ბედნიერებისგან განსხვავებით, მას არსებობის პატივი ერგო. ჰო, კარგი, კარგი, ვბრუნდები პარიზში. მეც მიყვარხარ მენატრები ბოდიში ბოდიში ბოდიში დამელოდე ვბრუნდები.

ნეტა, რომელი საათია? პლასტმასის ფარდებში მტვრის განათებული ფირფიტები იფილტრება. პიანინოს ფონზე ისახება ძლიერი და ყოვლად უაზრო გრძნობა. ვიღაცის გამო გეგლიჯება გული, გიმწარდება ცხოვრება, ცრემლად იღვრები, გულამოსკვნილი ტირი. აღარც ტაბლეტები გინდა, აღარც მათრახი, მხოლოდ მის თვალებსა და ტუჩებზე ოცნებობ და მისი კოცნისა და სუნამოს გახსენებაზე სუნთქვა გეკვრის.

ამას აჯობებდა, თავიდანვე არ მოსწონებოდი. რა ღვთისნიერად დაიტანჯებოდი, როცა წარმოიდგენდი სხვის თავს მისი ლავიწის ფოსოში. ბინდში ჩაძირულ პარიზში თვალს გააყოლებდი ბედნიერ გამვლელებს, და შენს ყოველ ამოსუნთქვას ქულა-ქულა სევდა ამოჰყებოდა. საბედნიეროდ (თუ გაგიმართლებდა), ეს მელანქოლია გაქცევდა მორცხვ ადამიანად და შეწყვეტდი ყოყმანს, რა აგერჩია, ქალი თუ ნარკოტიკი. დადგებოდი ახალი დილემის წინაშე: ქალი თუ თვითმკვლელობა.

რა მნიშვნელობა აქვს, მართლა გიყვარს თუ თავს იკატუნებ, მთავარია საკუთარი თავის მოტყუებას ახერხებდე.

იმ დღეს ნაშებს დავევასე

იმ დილით, დღემ მუხლი გამართა. მინდოდა მეთქვა, წამოდგა, რადგან მანამდე იჯდა. ჰოდა, მერწმუნეთ, უცნაური სანახავია, როცა დღე ფეხზე დგას.

იმ დროს ჩემი ცხოვრება ისეთი ჯოჯოხეთი იყო, მოსისხლე მტერსაც რომ არ ვუსურვებ. ექვსი თვე თვალი არ მომიხუჭავს, მაალოქსის აბებს ტონობით ვყლაპავდი, მაგრამ კუჭი მაინც მიჩმახებდა; ცოლი შოუ-ბიზნესის ვარსკვლავს აეკიდა, შვილები არც არასდროს მყოლია; მოკლედ, 1994 წელი იყო და პარიზში ვცხოვრობდი. და მაინც, იმ დილით, წუწუნის ნაცვლად, სურვილი გამიჩნდა, მეც მუხლი გამემართა. დღესავით.

არ ვხუმრობ. რაღაც იყო ჰაერში, ისეთი. მაშინვე ვიგრძენი, როგორც კი სახლიდან გამოვედი. ჯერ ერთმა გოგონამ გამიღიმა, მერე მისმა მეგობარმაც: აი, ისე, "ქუჩაში უცნობი ნაშების გაღიმების" პონტში... ათ წუთში ერთი კვირის დოზა მივიღე. ჰოდა მეც ავვარდი.

იმ ორი ნაშის შებმას ბევრიც არაფერი უნდოდა. როგორც საერთოდ ხდება, ერთი ლამაზი იყო, მეორე – უშნო; დიდი-დიდი ორი ფინჯანი ყავა დამიჯდებოდა (სამი – თუ ჩემს თავსაც მივათვლი).

შევთავაზე:

– ტერასაზე ხომ არ მოვყუჩდეთ?

– რისთვის? – მომიგეს ერთხმად, – თუ ჩვენთან ჟიმაობა გინდა, თანახმა ვართ. რა საჭიროა ორ ყავაზე ფულის ხარჯვა (ანუ სამზე, შენი ჩათვლით).

ჰოდა, დაიწყო... ლამაზი ტუჩებში მკოცნიდა და პირში ენას მიტრიალებდა. უშნო მსუბუქად მეხებოდა ყვერებზე. ლამაზმა ხელი პერანგში ჩამიცურა და სლიპინა ტანზე მეფერებოდა. უშნოზე ამიდგა. ლამაზი თმებზე მექაჩებოდა. უშნო ლამაზს ეზასავებოდა. უშნო უფრო ლამაზი იყო, ვიდრე მისი ლამაზი დაქალი.

ეს ყველაფერი ქუჩაში ხდებოდა, ინდიფერენტული გამვლელების თვალწინ. ხომ გითხარით, ეს დილა მთლად ჩვეულებრივი არ იყო-მეთქი.

გრძელ სკამზე მოვკალათდით. სანამ ლამაზს ყურზე ენით ვეალერსებოდი, უშნო მუხლებზე გადამაჯდა, პირით ჩემსკენ. საცვალი არ ეცვა და მის ინტერიერს კომფორტულად მოვერგე. რამდენიმე ბიძგის შემდეგ სამივემ უნისონში გავათავეთ.

ეტყობა, ხმამაღლა ვყვიროდით, რადგან, როცა თვალები გავახილე, დავინახე, რომ სკამის ირგვლივ ხალხი შეკრებილიყო. ზოგიერთ მოსეირეს ხურდა ფულიც კი გადმოეყარა. ფული ავკრიფეთ თუ არა, ორივე გოგონა აითესა.

ჩემი 501 მარკის თეთრი ჯინსის ღილები შევიკარი. ასეთი რამ ჯერ არ გადამხდენია თავს. თვითმკვლელობებიც მინახავს, კაიფში გაპარულებიც, ცოლქმრულ ღალატსაც შევსწრებივარ. ტელეგადაცემებშიც მიმიღია მონაწილეობა. რამდენჯერმე ქალურადაც ჩამიცვამს. მაგრამ არასდროს, გეფიცებით, არასდროს გამითავებია უცნობებთან თავის წარდგენისა და პრეზერვატივის გარეშე.

ჩემი ცხოვრება ეშმაკის გზას დასდგომოდა და ვინ იცის, სად მიმიყვანდა.

ისევ გავუყევი ბულვარს. ხალხი სტვენა-სტვენით დასეირნობდა, იცინოდა, ზოგი, შეიძლება ითქვას, საუბრობდა. ქალაქი სავსე იყო თავაზიანობით. იფიქრებდით, ღმერთმა ჟანგბადის შემცველობა გაორმაგაო ჰაერში. ერთ ბისტროში შევედი და ვხედავ, ავრორა ხელს მიქნევს. ბარის გოგოა, ერთი. მუდამ მომდგარი "ბოდი" აცვია, მხრებზე მოშიშვლებული. მკერდის შემონერილობა 92 აქვს. მიყვარდა, რა.

"აზრზე მოდი, რა პონტი გავაძრე, – მივახალე ეგრევე, – ეს-ეს არის ორი ნაშა გავჟიმე სკამზე."

თვალი თვალში გამიყარა.

"იცი რა, ლამაზი არა, მაგრამ ეშხიანი კი ხარ. კარგა ხანია, მეჩალიჩები მაგ საქმეზე. წამოხვალ ტუალეტში?

– რაა? იქ? ახლავე?"

ავრორა არ ხუმრობდა და მე რატომ უნდა მეყოყმანა. ბოლოს და ბოლოს, თუ ვინმემ ინება, რომ სწორედ იმ დღეს ორგაზმების კოლექცია შემეგროვებინა, საწინააღმდეგო არაფერი მქონდა. ჰოდა, გავყევი. ხვეულ კიბეზე ავრორამ ქარვისფერი ციალი გადმომაღვარა.

ტუალეტში ორი ტიპი ფსამდა. შევედით. შემოგვხედეს და რას ხედავენ: ავრორას ხელი ჩემს გახსნილ შარვალში, გაბრიქინებული ასო, ძუძუებს ზემოთ ახვეული ტოპიკი, ალმოდებულ სახეებზე აჩქეფებული ვნება. ტიპები აღიგზნენ, სურვილი მოეძალათ და ასოამოღებულები შემოგვიერთდნენ. ავრორამ უშურველად შეაგება ხელები, საშო, პირი, დუნდულები. ყველამ ხოშიანად ვიკაიფეთ. თესლს უხვად ვასხამდით და ავრორამაც კარგა ბლომად ყლაპა.

პირადად მე მილიონობით სპერმატოზოიდი ლაჩრულად ჩავტოვე მასში.

თავგზა ამერია, ვერ გამეგო, რა ხდებოდა. ნუთუ თანამედროვე საზოგადოება პორნო-ფილმად იქცა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით? ან, იქნებ, მე ვიქეცი ლამაზ ბიჭად?

ყოველ შემთხვევაში, ფაქტი იყო, გოგონებს ვევასებოდი, თანაც პირველად. მოვლენების ნაჩქარევად განზოგადებას ყოველთვის ვერიდები, მაგრამ მაშინ, იძულებული გავხდი, მეღიარებინა, რომ ჩემმა ახალგაზრდულმა უზრუნველობამ, სუფთა პერანგმა და საღმა გონებამ სექსუალურ კომპრესორად მაქცია. სამი ნაშა ერთ დილას! ნეტა, რა სიკეთე ჩავიდინე ისეთი, რომ ამგვარი ჯილდო დავიმსახურე?

მოგვიანებით – აბრიალებულ ნაშუადღევს – ავტობუსში ჩავჯექი. ბაკ-სენ-ჟერმენისა და ტროკადეროს გაჩერებებს შორის გავუიმე ჟოზეფინა, მიურიელი, ანტუანეტი, პასკალინი, ან-კრისტინი და ნაომი. ეგ კიდევ არაფერი, ჩემი შარვლის ტოტებს უხახუნა ერთმა მარსელად წოდებულმა ტეკელმა.

ყველაფერი ჩემი ეშხით ვერ აიხსნებოდა. რაღაც სხვა მიზეზიც უნდა ყოფილიყო. თავმდაბლობის გამო კი არ ვამბობ, ფხიზელი გონება მკარნახობს.

უცებ, გაზეთების ჯიხურს მოვკარი თვალი. აი, თურმე რაში ყოფილა საქმე. "ფიგაროს" მოწინავე გვერდი იტყობინებოდა: "აღმოაჩინეს შიდსის ვაქცინა!" "ლიბერასიონი" გვაუწყებდა: "იმუნო-ძალიან-ძალიან-დეფიციტური სინდრომი". სამწუხაროდ, ავტობუსი სწრაფად მიდიოდა და "მონდიდან" სათაურის წაკითხვა ვერ მოვასწარი.

ხომ ვამბობდი, რაღაცაშია საქმე-მეთქი. დილაობით რადიოს უნდა უსმინო კაცმა. გული ჩამწყდა, მაგრამ ეს რა მოსატანია. მთავარია, კაცობრიობა გადარჩა!

ექსტაზის პირველი აბი

მომწვანო მრგვალი აბია. ასორმოცდაათი ფრანკი დაჯდა. კოხტადაც შეუფუთავთ: ერთი კვადრატული სანტიმეტრის პლასტმასის პაწაწინა პაკეტია. ეს იმიტომ, რომ პირში ჩადებამდე ხელში არ შემოგადნეს. სანამ გადავყლაპავდი და ერთ ყლუპ კოკა-კოლას მივაყოლებდი, შევყოყმანდი: კაცმა არ იცის, შიგ რა დევს. რატომ უნდა ვენდო ვილაც ტიპებს, რომლებმაც ეს აბი სადღაც ფარულ ლაბორატორიაში, ნახევრად ჩაბნელებულ სარდაფში დაამზადეს. შეიძლება, სულაც ტურტლიანი ხელებით მუშაობდნენ. ახლა გვიანღაა. ისღა დამრჩენია, ველოდო და იმედი ვიქონიო, რომ იმ უცნობებმა თავიანთი საქმე კარგად იციან. ექსტაზი კიდევ უარესია, ვიდრე რეზინის თოკით ხტომა. ექსტაზიც სივრცეში გადაშვებაა, ოღონდ უსაფრთხოების წესების დაცვის გარეშე.

დილერის რჩევა ყურად ვიღე: ალკოჰოლს არ გავკარებივარ (შერევა სახიფათოა) და არ მივახშმია (სავსე კუჭი კაიფს ტეხავს). ჰოდა, აღმოვჩნდი ასე, მშიერ-მწყურვალი, იდიოტივით, მოლოდინში. ალბათ, ასე იქცევა ახალბედა ნარკომანი: არც ჭამს, არც სვამს და ყოველ ხუთ წუთში საათს დაჰყურებს. ნახევარი საათის შემდეგ, ვინანე, რომ ბრიყვულად ვუპასუხე "მე" შეკითხვაზე, თუ ვის სურდა,

გაესინჯა ექსტაზი. ისე რა, საღადაოდ გავაკეთე. თავი წარმოვიდგინე ლესტერ ბენგსად ან ჰანტერ ტომპსონად, მაგარ ტიპად – "ჟურნალისტ კამიკაძედ, რომელიც ყოველგვარი ექსპერიმენტისთვის მზადაა დამატებითი ქულის ასაღებად."

ყველა სახის ნარკოტიკმა დაიმკვიდრა თავისი ადგილი ლიტერატურაში: კოკტოსა და თომას დე ქუინსის ოპიუმმა, ანრი მიშოსა და ოლდოს ჰაქსლის მესკალინმა, ბეროუზისა და ივ სალგის ჰეროინმა, კასტანედას პეიოტლმა, ტიმოთი ლირისა და ტომ ვულფის LSD-მ, ბოდლერის ჰაშიშმა, ბრეტ ისტონ ელისისა და ჯეი მაკინერნის კოკაინმა, ჩარლზ ბუკოვსკის ბურბონმა. ახლა ექსტას ჯერია, მანაც ხომ უნდა შეაბიჯოს ლიტერატურის ისტორიაში?! იგი გახლავთ MDMA[1], რომელიც კარგა ხანია ფართოდ მოიხმარება.

კიდევ ნახევარი საათი გავიდა. ისევ არაფერი. უცებ, ცხელი ტალღა ამივარდა ტვინში. ელექტრული მუხტის მსგავსი, ოღონდ ნაზი და ალერსიანი. ღიმილს ვეღარ ვიკავებ. ჩემმა კიდურებმა სიამოვნებით მიიღეს სითბური ტალღა. ხელ-ფეხი ჰაერზე მსუბუქი გამიხდა. შესანიშნავად მესმის, რაც მემართება და მთლიანად ვაკონტროლებ ახალ შინაგან ენერგიას. მოკლედ, ხოშიანად ვერთობი. ვდგები. მოქცევა გრძელდება: ყურებში ჩამესმის ნეტარი ბუბუნი. სიცოცხლე ერთბაშად უსაზღვროდ მარტივი მეჩვენება: ვიბადებით, საინტერესო ადამიანებს ვხვდებით, გვიყვარდება, ვესაუბრებით, ზოგჯერ ერთად ვწვებით კიდეც. სიკვდილი არ არსებობს; ფანტასტიური ახალი ამბავი! ლაპარაკის იშტაზე მოვედი. ყველასთან მივდივარ და ვეუბნები, რომ ძალიან სიმპათიურები არიან. მტრებსაც კი ვერ უნახავ ნაკლს. თუმცა, აქ საქმე კიდევ უფრო მარტივადაა: მტრები საერთოდ არა მყავს. ქათინაურებს ვარიგებ. რაღაც მთლად კარგად არ გამოდის: ამ საღამოს ადოლფ ჰიტლერი რომ ყოფილიყო ღამის ბარში, მასაც გადავეკოცნიდი და ვეტყოდი, რომ მესმის, როგორ იტანჯებოდა იმით, რასაც სჩადიოდა. აი, ახლა კი დროა, სუფთა ჰაერზე გავიდე.

გარეთ წვიმს. კეთილმოსურნე წვიმის წვეთები სახეზე მეალერსება. ასე ლაღად თავი არასდროს მიგრძნია. ცხოვრებაში პრობლემები აღარ დამრჩა. სამყარო სავსეა საინტერესო მეგობრებითა და გიჟური თავგადასავლებით; და ამ ყველაფრის აღმოჩენა წინ მელის. ახლა სხვა კლუბში შევძვერი. ყველაფერი ფეხებზე მკიდია, ასეთი თამამი ცხოვრებაში არ ვყოფილვარ. ზოგიერთი გოგო ცოტა ალმაცერად მიყურებს, ცოლობას რომ ვთხოვ, იმიტომ რომ თითზე ქორწინების ბეჭედი მიკეთია. სხეულში მუსიკა შემიჩნდა. ძალიან მცხელა, ოფლად ვიღვრები და ცეკვის დაუოკებელი სურვილი მიპყრობს. ჰაუზის წარმოუდგენელი მელოდიების შეთხზვას ვიწყებ. ნაღდი ვოლფგანგ ამად-ჰაუზი ვარ!

მოცეკვავე გოგონები შემომეხვივნენ. გავუღიმე. ერთმანეთს გავუგეთ. უნაკლო ჟესტები მაქვს, რიტმი არაბესკებს ხატავს ჩემი ხელებით, რომლებსაც სამგანზომილებიანი ჰოლოგრაფიული ლაზერის სხივები კვეთენ. ვიცი, რომ მაგარ კაიფში ვარ. მერე რა... ვეფერები ლოყებს, კისრებს, ტუჩებს, რომლებსაც ჩემი კარგად ესმით.

[1] MDMA - 3,4-**მეთილენდიოქსიმეთამფეტამინი**, ჰალუცინოგენი, სახელწოდებით ექსტაზი.

საათს დავხედე. ამ რაღაც ხუთ წუთში ორსაათნახევარი გასულიყო. აი, მაშინ კი დაიწყო პრობლემები. ვიგრძენი, რომ საშინლად მწყუროდა. ყელი მთლად გამომშრალი მქონდა. ერთმა მეგობარმა ოთხი დიდი ჭიქა წყალი მომიტანა. სულმოუთქმელად გადავყლურწე. კრიჭა შემეკრა, ხელები გამიოფლიანდა, ყურებმა წივილი დამიწყო. ერთი გოგონა ამეტორღიალა, ნახევარი საათის წინ სიყვარულს რომ ვეფიცებოდი. სული შემეხუთა: უნდა გავიდე, თორემ დავიხრჩობი. ნეტა, როგორ გავძელი ამდენ ხანს უჰაეროდ. გარეთ გამოვრბივარ. ქუჩის ჟანგბადი ერთი წამით მამშვიდებს, მაგრამ ძალიან მალე ვიწყებ ფიქრს. აი, ამ წუთიდან კი ნაღდად ყველაფერი ფუჭდება. სამი საათის განმავლობაში გაუჩინარებული ყველა პრობლემა ახლა ერთბაშად მომაწვა თავში: ფული, ნაირ-ნაირი ინტრიგები, ცოლქმრული ურთიერთობები, სიყვარულის შეუძლებლობა, სიკვდილის გარდაუვალობა. ჩემი ცხოვრება ნაგავია და მუცელშიც რაღაც აუტანელი სპაზმი მაქვს. შინ ვბრუნდები იმ იმედით, რომ დავიძინებ, მაგრამ ტყუილად ვირჯები: ძილი არ მეკარება. ყველაზე კონსტრუქციული გამოსავალი იქნებოდა თვითმკვლელობა ფანჯრიდან გადახტომით. ისღა დამრჩენია, გათენებას დაველოდო კბილების კაწკაწით და საზიზღარი, ცრუპენტელა ნარკოტიკის წყევლით. თანაც, ტელევიზორშიც არაფერია წესიერი: მივჩერებივარ მონადირეებს, რომლებიც ძაღლებით ნადირობენ. თავს იმითღა ვირთობ, რომ ორიათასჯერ ვიმეორებ: "ძაღლი შინ არ ვარგოდაო, სანადიროდ გარბოდაო. / ძაღლი შინ არ ვარგოდაო, სანადიროდ გარბოდაო. / ძაღლი შინ არ ვარგოდაო, სანადიროდ გარბოდაო". ჭერი ზიზღით დამცქერის. რას არ იზამ კაცი, რომ ლაგარდის და მიშარის სახელმძღვანელოში[1] მოხვდე. მთელი საღამო გულს ვუშლიდი უცნობებს და სიყვარულს ვუხსნიდი თინუსებს.

ექსტაზი ძვირად გვისვამს ქიმიური სიხარულის რამდენიმე წუთს. წინ გადაგვიშლის უკეთეს სამყაროს, საზოგადოებას, სადაც ყველა ხელიხელჩაკიდებულია და თავს მარტოდ აღარ ვგრძნობთ; დაგვაწყებინებს ოცნებას ახალ ერაზე, რომელშიც არ იქნება არისტოტელეს ლოგიკა, ევკლიდეს გეომეტრია, კარტეზიული მეთოდი და ფრიდმანის ეკონომიკა. ცალი თვალით შეგვახედებს და მერე, ხელის ერთი მოქნევით, გაუფრთხილებლად, კარს ცხვირწინ მოგვიჯახუნებს.

[1] ფრანგული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელო (ავტორები: ლაგარდი და მიშარი).

სენ-ჟერმენ-დე-პრეში ნაპოვნი ხელნაწერი

უკანასკნელად ვზივარ "ფლორის" მეორე სართულზე. უკანასკნელად მივირთმევ კოკა-კოლა Heavy-ს. მალე ყველაფერს ბოლო მოეღება. მოდიან. სენ-ჟერმენის ბულვარის ბოლოდან უკვე ისმის მათი ყვირილი, სასიკვდილო მოწოდებები, ხელნაკეთი ყუმბარების გამაყრუებელი ხმა – აფეთქებენ მოდის მაღაზიებს, "ჯონ ლობს", "კრედი ლიონეს" სააგენტოს ბაკის ქუჩაზე... ჩემამდე ცოტაღა დარჩათ.

ეჩქაროს. რამდენიმე სიტყვის დაწერა მინდა მოვასწრო. ეს ანდერძი არ არის, არაფერი მაქვს დასატოვებელი. ყველაფერი გაქრება, რაც კი მინახავს ცხოვრებაში. ჩვენი დამარცხება არავის გააკვირვებს. საუკუნეების შემდეგ ისტორიის წიგნებში ჩამოთვლიან დღევანდელი მოვლენების მიზეზებს: იმედგაცრუება მიტერანიზმით, შემდეგ შირაკიზმით, "სოციალური განხეთქილება": ასე უწოდებენ... აი, მე კი მართლაც უცნაური ბედი აღმომაჩნდა: მაინცადამაინც 10 მაისს უნდა მოვკვდე. მაგარი დაბადების დღე მაქვს! იმედია, მეტისმეტ სისასტიკეს არ გამოიჩენენ: დროს არ დაკარგავენ და სწრაფად გამისტუმრებენ საიქიოს.

რას იზამ, დავიმსახურეთ. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ VI არონდისმანის მერიამ გადაწყვიტა, დრაგონის ქუჩიდან მაწანწალები გამოეძევებინა. თავიდანვე აბსურდი

იყო, იქ რომ დასახლების ნება დართეს: ჭია ნაყოფში ჩაჯდა. მთელი წელი უყურეს ჩვენს მდიდრულ ყოფას, შმოტკებით გამოტენილ ლუქსის მაღაზიებს, კერძებით მოყირჭებულ რესტორნებს, კლუბებს, სადაც მათ არ შეესვლებოდათ, უწესრიგოდ დაყენებულ სპორტულ მანქანებს და ჟიმაობადაკლებულ მანეკენ-ვარსკვლავებს, მთელ ამ გარყვნილებას, რომელიც უსირცხვილოდ გვაქვს გამომზეურებული DAL-ის (საცხოვრებლის უფლების სამსახურის) შენობის წინ. რას ვიფიქრებდით, რომ ეს შენობა მათი ტროას ცხენი გამოდგებოდა?

1995 წლის მაისის არჩევნებში ჟაკ შირაკის გამარჯვება ერთი უცნაური ამბის წყალობით მოხდა... ვწერ ამ ევფემიზმს და მეცინება, რადგან გარედან მესმის ჩვენი უსაფრთხოების კერძო მილიციის უკანასკნელი ვერტმფრენის ღუღუნი. კიდევ კარგი, მილიცია მაინც გვყავს. მხოლოდ პოლიციის იმედზე რომ ვყოფილიყავით...

ცოტა სულს მოვითქვამ და ისევ გავაგრძელებ. ბოდიშს ვიხდი, თუ ერთმანეთში ვურევ ყველაფერს. გადაკითხვას ალბათ ვეღარ მოვასწრებ.

როგორც ჩანს, დრაგონის ქუჩიდან მაწანწალების გამოსახლება ცუდად დამთავრდა. ტექნიკურად აღჭურვილ წესრიგის დამცველებს ვირტუალობა არ გამოადგათ, ყოველი კვადრატული მეტრისათვის მოუხდათ ბრძოლა. მოკლულების თვლამ აზრი დაკარგა ორივე ბანაკში. ეს იყო ომი პირდაპირ ეთერში TF+-ზე[1], კიდევ ერთხელ,

[1] TF+ - სატელევიზიო არხი, რომელიც შეიქმნა ორი არხის, TF1-ისა და Canal+-ის გაერთიანების შედეგად 1999 წლის 11 ოქტომბერს *(ავტ. შენ.)*.

ბრძოლა კლასთა შორის: მდიდრები ღარიბების წინააღმდეგ (წლის საუკეთესო რეიტინგით).

ამის შემდეგ მადლენის მთავრობამ გამოგვიცხადა, თქვენს თავს თვითონვე მიხედეთო. აი, სწორედ მაშინ იშვა სენ-ჟერმენ-დე-პრეს კედლის იდეა. ამ წლის დასაწყისში საფუძველი ჩაეყარა სამმეტრიანი დამცავი კედლის მშენებლობას ჩვენი უბნის ირგვლივ. ეს კედელი გადიოდა იაკობის ქუჩაზე (სადაც მდებარეობს პრემიერ-მინისტრის ყოფილი რეზიდენცია), სენ-პერის, ფურის და სენის ქუჩებზე და იცავდა ჩვენს დაბას შესაძლებელი თავდასხმებისგან. ეს ბრწყინვალე არქიტექტურული ძეგლი, რომლის პროექტის ავტორიც გახლავთ ფილიპ სტარკი, აღჭურვილი იყო თერმული და ლაზერული სათვალთვალო კამერებით. მშენებლობა დაფინანსდა ყველას მიერ, კარდაკარ შეგროვილი ფულით. ამავე გზით დაფინანსდა ავტომატურად მართვადი ვერტმფრენების შეძენა სენ-ჟერმენ-დე-პრეს მილიციისათვის.

დაიწყო ნანატრი ცხოვრება. ისევ შეგვეძლო უსაფრთხოდ გვესეირნა უბანში. ჟერმანოპრატენებმა[1]? ისევ დაიწყეს ღიმილი. ყველგან წვეულებებს მართავდნენ, ყველა კარი ღია იყო დღისითაც და ღამითაც. შეგეძლო გასაღები ჩაგეტოვებინა ფერარიში, არაფერი გემუქრებოდა. ღამით მხოლოდ საპატრულო ვერტმფრენები აპობდნენ წყვდიადს კაფე "ლიპის" თავზე.

ამ დროს, ჩვენს პერიმეტრს გარეთ დარჩენილი ქვეყნის ნაწილი სისხლიან ქარ-ცეცხლში იყო გახვეული.

[1] ჟერმანოპრატენები - პარიზის ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლები, რომლებიც ჩვეულებრივ სენ-ჟერმენ-დე-პრეს უბნის ლიტერატურულ კაფეებში იკრიბებიან.

მეამბოხეთა გნიასი მიახლოვდება. ხელი მიკანკალებს შიშისგან, იმიტომ რომ ლაჩარი ვარ. ღმერთმანი, არ მინდა სიკვდილი. უკვე ვიცი, რომ, მუხლებში ჩავუვარდები ჩვარივით და შეევევედრები, შემინყალონ. ჰო, ვფიქრობდი, ჩემს მაყუთს ჩემთვის მოვიხმარ, ვისაც არა აქვს – თავში ქვა უხლია-მეთქი. მაგრამ სხვებიც ხომ ფიქრობდნენ ჩემსავით, ეს ოხერი, რა ვიცოდი, რომ ასე გამწვავდებოდა სიტუაცია!

ცხადია, იმ დღეს, როცა მუცლები გამოფატრეს ბერნარ-ანრი ლევის და არიელ დომბალს – არადა, რა მშვიდობიანად მოვიდნენ შეხვედრაზე, ვითომ დიალოგის გასამართად – უნდა მივმხვდარიყავი, რომ ჩვენი ჯერიც დადგებოდა. მაგრამ მეც სხვებივით დავიჯერე, რომ ეს უბრალო შემთხვევითობა იყო... შემდეგ ჯგუფურად გააუპატიურეს კლაუდია შიფერი (რამაც ამ წლის საუკეთესო რეიტინგი მიიღო TF+-ზე), ისიც მახსოვს, როგორ გვჯეროდა ყველას, რომ ახლა მაინც დამშვიდდებოდნენ...

ბოლოს, როცა მატიე კასოვიცი დაწვეს, თვალი აგვეხილა, მაგრამ უკვე გვიან იყო... შემდეგ რაც მოხდა, ყველამ იცის: თავს დაესხნენ კასტელს, ცეცხლი წაუკიდეს გრასეს, სენ-ჟერმენ-დე-პრეს ეკლესიის ზარზე ფეხებით ჩამოკიდეს ფილიპ სოლერსი...

ჩემი ორი უკანასკნელი "ბოდიგუარდ" ბულვარზე გავგზავნე დასაზვერად. რას შვრებიან ამდენ ხანს? ათი წუთის წინ უნდა გამოეგზავნათ სამგანზომილებიანი სურათები მაიკროსოფტ-სვოჩზე.

რაც დავთესეთ, იმას ვიმკით. ხომ კარგად ვიზეიმეთ კომუნიზმის დამარცხება! ხომ გაიმარჯვა კაპიტალიზმმა! სად გვქონდა თვალები! კარლ მარქსის ყველა შეკითხვა

ასი ათასჯერ მეტი სიცხოველით დაისვა ახლა. გვეგონა, ბუნებრივი იყო, რომ პრივილეგირებულთა პაწაწინა უმცირესობას უნდა ემართა უპოვართა უზარმაზარი უმრავლესობა. ეფიქრობდით, სამართლიანი იყო, რომ გიგანტური ბინები გვეკავა. სულაც არ გვაშფოთებდა ჩვენი ცხოვრების შეუწყნარებელი აღვირახსნილობა.

ფანჯრიდან თვალი მოვკარი ჩემი ერთ-ერთი პირადი მცველის თვალებგადმოკარკლულ თავს... შუბის წვერზე. აჰა, "ფლორშიც" შემოცვივდნენ. სარტრ, დაბრუნდი, სულ გაგიჟდნენ! ტუალეტში ჩაკეტილი ვჯღაბნი ამ გამოსამშვიდობებელ წერილს. კიბიდან ნაბიჯების ხმა მესმის. აი, მომადგნენ კიდეც. კარზე მიბრახუნებენ.

არა მგონია, დავძმაკაცდეთ.

ნაბახუსევზე

ეუთხარი: "ყველაფერი ყოველთვის მეორე დღეს, დილით იწყება-მეთქი". საზიზღარი სიფათი ჰქონდა. უკვე წვერი წამოზრდოდა. პირიდან მყრალი სუნი ამოგვდიოდა და სადაცაა გათენდებოდა. შორიდან ვარენის ქუჩის ნაგვის მანქანის სირენის ხმა ისმოდა.

ლუი ძველი მეგობარია, მაგრამ ყურებამდე იცის ხოლმე შეყვარება და ამ დროს აუტანელი ხდება. "ასეა, ასე, მერე მეტყვი, ცხოვრება ზეიმის მეორე დღეაო". არეტა ფრანკლინის ძველი ფირფიტა ჩართო. ბოთლი გამოვცალე.

"ნახე, რა თვალები ჰქონდა? არა, მიპასუხე: ნახე, რა თვალები ჰქონდა?"

ცხადია, ვნახე. ლეტიციას კარგად ვიცნობდი და შესანიშნავად მახსოვდა, რომ ამ თვალებმა მეც ასეთსავე დღეში ჩამაგდო ოდესღაც. ლუი ცუდად იყო ავარდნილი, არეტა კი ჩვენთვის ლოცულობდა.

"ასე მითხრა, ერთმანეთს ძალიან მალე შევხვდებითო.

– ტელეფონის ნომერი გაქვს?

– მმმ...

– მონსო 43 32.

– კი მაგრამ...

– არავითარი კი მაგრამ."

ლეტიციას ეღვიძა. მაგრამ მარტო არ იყო და ლუიმ სასწრაფოდ დაკიდა. ახლა ვიცოდი, რომ დილამდე აღარ დამაძინებდა. "ხომ გაგაფრთხილე. ასეთია: გესალმება თუ გემშვიდობება, ვერ გაიგებ." ვინანე, რომ უხეშად მივახალე. ვერ ვიტანდი ლუისთან ლოლიაობას, ცუდ მოგონებებს მიღვიძებდა. ოთახში სევდა შემოიპარა.

თუ ვინმე სევდის მისამართს ეძებს, შემიძლია მივასწავლო, სადაც ბინადრობს. სევდას გარკვეულ საათებში შეხვდებით. გეოგრაფიულად მკაცრად ლოკალიზებულია.

ოღონდ ეგ არის, რომ ლუის უყვარდა თვითგვემა. იგი იმ კატეგორიას ეკუთვნოდა, კლუბზე უარს რომ ამბობენ, თუკი მის წევრობაზე თანხმობას მიიღებენ. მოკლედ, შესანიშნავად ვხედავდი, რაც სჭირდა. კარგად ვერ იყო იმიტომ, რომ არ შეიძლებოდა, კარგად ყოფილიყო.

"ფეხებზე მკიდია ყველაფერი. ჩემთვის მთავარია, რომ მე მიყვარს. ესაა მთავარი, დანარჩენი ფეხებზე მკიდია.

– ლუი, დოლიპრანი ხომ არა გაქვს?"

ფეხით გავუყევით. "ბარ დიუ მარშეში" ვისაუზმეთ. არ გადაგვიხდია. დავითესეთ. ლობინოს ქუჩაზე მომღერალ ქალს, დანის შევხვდით. კაფე "ფერნანის" წინ ვარწყიე. კაფე "გის" წინ ლუიმ პოპერსი დაყნოსა.

ჩემი ბრალია ყველაფერი. მე მომივიდა თავში აზრად იქ წასვლა. ლეტიციას მისამართი კარგად ვიცოდი. ჰოდა, ვუთხარი ტაქსის მძღოლს: "ველასკესის გამზირი მე-8 არონდისმანში. მონსოს პარკის ჩიხი". ბოღმა მომაწვა. ჯერ კიდევ ღია მქონდა ძველი ჭრილობა. ჩემი ბრალია ყველაფერი.

ლუიმ ღრმად შეიყნოსა თითოეული ნესტოთი და კარებზე დარეკა. ო, ლეტიცია, პატარა ანგელოზო, რატომ გაგვიღე ასე დაუფიქრებლად? არავის უსწავლებია, რომ უნდა იკითხო "ვინ არის?", სანამ პანდორას ყუთს გახსნი?

"პირზე ხელი ააფარე, ჩქარა!" შევასრულე. ლეტიციამ მიკბინა. მუშტი შევკარი და მარცხენა თვალში ვუთავაზე. ლუიმ ზურგს უკან შეუკრა ხელები. სახლი პოპერსის სუნით ყარდა (ლუის გადმოეღვარა ფლაკონიდან შემოსვლისას). ლეტიციას მშობლები სამსახურში იყვნენ. მისი ტიპიც. მთელი დღე წინ გვქონდა.

გიცდიათ ოდესმე, გოგოსთვის პირში ჩაგეჩარათ ჩოგბურთის ბურთი? გარწმუნებთ, ამას დიდი დრო სჭირდება. მაგრამ ღირს : ახლა ლეტიცია აღარ ყვიროდა; უფრო სწორად, ყვიროდა, მაგრამ არავის ესმოდა. მის მშობლებს გემოვნება ჰქონიათ: ლუი XV-ის სტილის სავარძლები, დორსის დისკები, ირლანდიური ვისკი. თანმიმდევრულად მივყევით, სავარძლები დავწვით, დისკები დავფხაჭნეთ, ბოთლი გამოვცალეთ. ლეტიციას საწოლ ოთახში ლუიმ მათრახი იპოვა (ლეტიცია ცხენბურთზე დადიოდა). ჰოდა, მისი ცხენის ჯავრიც ვიყარეთ.

"მითხარი, როგორ გგონია, შემიყვარებდა?

– მოიცა, რა...

– სამოგზაუროდ წავიდოდით ერთად... ვიქნებოდით წყნარად... არავინ შეგვაწუხებდა...

– ლუი, მე მგონი, ჯობს, აქ დიდხანს არ დავრჩეთ.

– ხომ მითხრა, ერთმანეთს ძალიან მალე შევხვდებითო...

– OK, ლუი, მაგრამ ახლა, ცოტა არ იყოს, გვიანია თქვენი დაქორწინება. მე მგონი გადავამლაშეთ. დროზე უნდა ავითესოთ, სანამ ვინმე მოსულა.

– ლეტიცია... ლ. ე. ტ... ლ.ე.ტ.ი.ც.ი.ა...

(გენსბურგის სიმღერის მოტივზე).

– ლუი, შენ – როგორც გინდა, მე ვითესები."

სახეზე გაყინულმა ნიავმა შემომილაწუნა. ქუჩა პრიალებდა. წვიმისგან. ლუიმ მაგრად გაახურა. უკვე დავმანდრაჟდი. ის ზემოთ დარჩა, გულწასულ ლეტიციასთან. გულწასულ და გაკოჭილ ლეტიციასთან. ყველაფერი აღარ მახსოვს. მაგრამ, მე მგონი, ლუიმ მაგრად გაახურა.

ქეიფი ცხოვრებასავითაა: იბადება და კვდება, როგორც ადამიანი. აპოგეის მომენტიც აქვს და კრახის წუთებიც. სიმაღლეებიც და ვარდნებიც. ბრწყინავს კიდეც და მტვერშიც ემხობა. ჩვენსავით. ქეიფს ხვალინდელი დღე არა აქვს. ჩვენსავით.

ლუიმ რომ დამირეკა, ყურმილი არ ავიღე. ავტომოპასუხემ ყველაფერი ჩაიწერა. კარგად ვერ გავიგე, რას მეუბნებოდა. მოკლედ, მატყობინებდა, რომ ის და ლეტიცია, ბოლოს და ბოლოს, შერიგდნენ. ლუი მეკითხებოდა, თუ ვიქნებოდი თანახმა, რომ მოწმედ გავყოლოდი ქორწილში და რომ მათი შვილი მომენათლა. ტიროდა: ყურმილზე დაღვრილი ცრემლების ხმაც კი ისმოდა.

ტელევიზორში "როშფორელი ქალბატონები" კეკლუცობდნენ. უაკ დემი ახალი გარდაცვლილი იყო. როცა გარდაიცვლებით, თქვენს ფილმებს გაუშვებენ. ხალხი ამიტომაც იღებს ფილმებს. თავიანთი ცხოვრება რომ მნიშვნელოვანი გახადონ. ძილი შევიბრუნე.

და დამესიზრმა... დამესიზრმა სამყარო, სავსე ხასხასა ფერებით და გოგონები გარუჯული ფოსოებით; დაგუბულ ყურებში ჩემი ბავშვობის ჰანგები ჩამესმოდა; მზე წვიმად ჩამოდიოდა. დამესიზრმა, რომ შენკენ მოვემართებოდი და შენ ხელი ჩამკიდე. დამესიზრმა, რომ გული წითლად მიღვიოდა, რომ მივრბოდით დუმფარების ტყეში და ჩიტები ყვაოდნენ. სიყვარული დამესიზრმა. მაგრად გამისწორდა.

ქალთა მჭვრეტელი, 1

ჩემი აზრით, პლაჟების ჰიმნი სერჟ გენსბურგის "Sea, Sex and Sun" კი არ არის, არამედ – პატრიკ კუტენის "მიყვარს გოგონების ცქერა".

დიდებული სიმღერაა: "მიყვარს გოგონების ცქერა / დასეირნობენ პლაჟზე / მშვიდად იხდიან ტანზე". ყოველთვის, როცა ქვიშაზე ვწვები, ჩამესმის ეს ოდა სექსუალურ უკმარისობაზე, ეს აპოლოგია ეროტიული სცენების ბალნეოლოგიურ ჭვრეტაზე. მახსენდება ის მრავალი, განმგმირავი ნაშუადღევი, მონოკინიში გამოწყობილი ოქროცურვილი ქალბატონების ცქერაში რომ გაილია, ბიდარში, ბიარიცსა და სენ-ტროპეზში, ისე, რომ მათი შებმა აზრადაც არ მომსვლია. დარწმუნებული ვარ, ამ მორცხვ თვალთვალში გატარებულმა საათებმა მაქცია ურცხვ სექსუალურ ავხორცად, რომელსაც ახლა წარმოვადგენ. "სიცოცხლეს ნაზიარები / დაბერილი მკერდი და / კიოხვით სავსე თვალები: / "ეს ყმაწვილი ვინ არის?" კუტენის სიმღერაში ძლიერი კრეშენდოა. იგი კარგად გამოხატავს უკონტროლო, გაუსაძლისი სილამაზის ალყაში მოქცეული, სიცხით გათანგული ჰეტეროსექსუალური დამსვენებლის აუტანელ უძლურებას. გოგონები დაკუნტრუშებენ, მწველ ქვიშას აბნევენ და მათზე მეტად გარუჯული ბიჭების სახელებს გაიძახიან. წყლიდან ამოდიან იასამნისფერი

კერტებით, სარცხვინელის თმები საცურაო საცვალზე აქვთ მიკრული. კოცნიან ავსტრალიელ სერფინგერებს ან კამარგელ დისკ-ჟოკეებს. ვერც ამჩნევენ სუსტ, მომწვანო ბიჭებს, რომლებიც წიგნებს კითხულობენ და ასო პირსახოცში აქვთ ჩარგული. აინუნშიც არ აგდებენ ამ რეტდასხმულ თაყვანისმცემლებს, უიღბლო ლაჩრებს, მუნჯ მიჯნურებს, რომანტიულ მწნილებს. მადლობა კუტენს, რომ პატივი მიაგო ზაფხულის მდუმარე ტკივილს.

რატომ არ უშლიან თექვსმეტი წლის გოგონებს ზღვის პირას თავის ჭკუაზე ყიალს? მათი მოღერებული ყელი, შემორკალული დუნდულები, მარწყვის ესკიმოს წუწნით ნეტარებააღბეჭდილი ბაგეები, აბრეშუმის ხერხემალი, ოქროსფერი ლავიწები, სველი თმები, ქაფივით ქათქათა კბილები, ვიწრო ხვრელი, გრილი ენა, საცურაო კოსტიუმის თეთრი მარკა, პატარა ფეხები ლაქწასმული თითებით, ჩემი ხელის მტევნის სარგო ძუძუები...

მიყვარს გოგონებზე წერა. რა უნდა ქნა, როცა ასი გოგო ერთად გიყვარდება? მათი ჭიპები გასარუჯი ზეთით სავსე აუზებია. თექვსმეტი წლის ვიყავი, ეს რომ დამეწყო. ორჯერ მეტისაც გავხდი და არაფერი შეცვლილა. ახლა ფორმანტერაში ვარ, 1997 წლის ივნისია, ჩემი საცოლეც აქაა და, მაინც, ბედისწერას ვერსად გავექეცი: მთელი ცხოვრება სასტიკი უმწიკვლოების ცქერა მომიწევს.

დღეს დიდი მწერალი ვარ. ჩემი წიგნები ათი ათას ეგზემპლარად იბეჭდება, მაგრამ არ მავიწყდება, როგორ მომიკალით გული, პაწაწინა ჩათლახებო!

როგორ გავხდე ვინმე ისეთი

ჩემი ცხოვრება ერთი დიდი ნეხვია. ბოლო უნდა მოვუდო. ყელში ამომივიდა after-shave-ით აშმორებული ბრიყვების აქეთ-იქით თრევა, თანაც უკანა სკამზე მუდამ კოკაინს ყრიან. გავიჭყიპე პასტისით და პროზაკით. არ მევასება მათი ბრაზილიური სერიალებიდან გადმოღებული თმის ვარცხნილობა. როგორ მივედი აქამდე? აბა, მე რა ვიცი. პატარაობისას მეგონა, მთელი ცხოვრება წინ მქონდა. ახლა, ერთი დიდი ხეპრე ვარ, მძღოლი გამოძახებით პარიზსა და მის გარეუბნებში. ჩემს ქვემოთ რივოლის ქუჩა მიედინება. მივუყვები მდიდრების სახლებს ტუილრის ბაღის გასწვრივ. ეს ბაღი სავსეა დაჩამიჩებული ტურფებით, რომლებსაც ტელე-წამყვანები ჟიმავენ "რომეოს" კანაპეებზე. ჩემს უკან კლიენტი ქალი სიცილით სკდება, არ ვიცი, რა სისულელე უთხრა მისმა მუქკანიანმა ტიპმა: "Darling, ახალი *ვეტფრინავი* ვიყიდე გემისთვის, – თუ, ახალი გემი ვიყიდე *ვეტფრინავისთვის*? თუ ახალი *თითფრინავი*, აუზში რომ 4X4-ით ვისრიალოთ?". დედას გიტირებ, ახვარო. ჩაგაფსმევინებ. დავიღალე. აქსელერატორს ფეხს ისე ვაჭერ, ლამის მივაჭყლიტო. მანქანის სარკეში ვაკვირდები მალულად. გაპუდრული ცხვირი ჟელატინწასმული თმები მოოქრული სამაჯური. აღარ გაათაეებს კაკანს? მეგონა, ცხოვრება სიურპრიზებს მიმზადებ-

და, რაიმე შანსს მომცემდა. ნურას უკაცრავად. სიურპრიზები მდიდრების ხვედრია. ღარიბების ცხოვრებაში მოულოდნელი არაფერია, წინასწარვე შეიძლება მისი მოყოლა. მომავალმა გვერდი ამიქცია. შეუხედავი ვარ, ცუდად მაცვია, უკნიდან მიჩითავენ სქელ კეფას, ხარივით კისერს, თვითონ კი ლამაზები არიან და საამო სურნელი ასდით, მათ ვეზიზღები. ქალი დამცინის, ნაღდად, მაგრამ ყველაფერს ბოლოს მოვუღებ... კონკორდის მოედანი. ლამაზია ქალაქი ღამით. ეს სიტყვებიც სხვისია, ჩემი არ გეგონოთ.

მე არაფერი მაბადია, ერთი ჩაშვებული ტიპი ვარ. ჩემნაირებს მუდამ გვერდს უვლიან, სახელით მიმართავენ, როგორც მსახურებს. ჩემი ცხოვრება კონკორდის მოედანს სულ არ ჰგავს. ვერასდროს ვიქნები მასავით კრიალა და მოელვარე. ეს ზედსართავები საჩემო არ არის. მე ვსვამ იმიტომ, რომ დავივიწყო, რომ სხვებმა დამივიწყეს. მნიშვნელობადაკარგული ცხოვრება... სიჩქარეს ვუმატებ, ყელში ამომივიდა გზის პირას ღოღვა. ღმერთსა ვფიცავ, დაიწყო. ქალმა არაბს შარვლის უბე შეუხსნა, პირში ჩაიდო. გეფიცებით, სარკეში ვხედავ. თუ შემამჩნიეს, რომ ვუყურებ, ალბათ უფრო აღიგზნებიან. ქალი წუწნის. კაცი კი ამასობაში კოკაინს ყნოსავს. ნეტა ჩაიხრჩონ! მეყო, მეტის ატანა აღარ შემიძლია. რა ნახა ამ არაბში, მაყუთი? რატომ ჩემთვის არავის აულოკავს ყვერები ლიმუზინის უკანა სკამზე, ასეთი ცხოვრების დედაც..! რატომ მიყურებს თანაგრძნობით ეს კახპა თავისი მელირებული თმებითა და გამაბრუებელი სუნამოთი "მეძგერე". მძულს მდიდრების თავაზიანობა, მათი ღიმილი "თავიდან მომწყდი", თითქოს გეუბნებიან, მათხოვარი, გონჯი მდაბიო ხარო.

რადიოში "სპაის გერლზის" Viva forever გაისმა. ხმას აეუწიე. ამ მანქანაში ყველაზე უინტერესო საგანი მე ვარ. არსაიდან წამოსული არსად მისასვლელად... სანაპირო გზებს მივუყვები. ბრიოლონით გაწეპილი კრეტინი განგებ ისე კვნესის, როგორც პორნო-ფილმის მსახიობი. არსაიდან წამოსული არსად მისასვლელად... მეც მყოლია ქალები, მაგრამ ისინი მახინჯები იყვნენ და ვერ ვართობდი. ვერაფრით ვაკვირვებდი. ნანობდნენ, რომ წამომყვნენ. არავის მოუსურვებია სიბერემდე ჩემთან დარჩენა (არც მე ვისურვებდი, სხვათა შორის). არავინ მყვარებია, ერთ ქალსაც კი არ გაუთავებია ჩემთან. სიყვარული ძალიან ძვირი ღირს. მე რას გავწვდები. მსუქანიც ვარ... საჭეს მოვუჭირე ბანძი მძღოლის ბანჯგვლიანი და ხორცსაცვსე თითები. მამაჩემი მიჩიჩინებდა, არაფრის მაქნისი ხარო, ჰოდა, მეც გავამართლე მისი სიტყვები. არც არსად მისწავლია – არ მეცალა, ტელევიზორს მივჩერებოდი, ვსვამდი, დრო გამყავდა. ერთადერთი გამოცდა მართვის მოწმობის ასაღებად ჩავაბარე (ისიც სამხედრო სამსახურის წყალობით).

რა საჭიროა ჩემნაირების არსებობა? ჩვენ გამოუსადეგარნი ვართ და ფეხებში ვებლანდებით სხვებს ამ პლანეტაზე. ჩვენზე არ ლაპარაკობენ ჟურნალ "ვუასი"-ში. ჩემს დაკრძალვაზეც ბევრი არავინ მოვა. ღმერთო ჩემო, თუ არსებობ, ამიხსენი, რატომ მეცვა ყოველთვის ცუდად? ო, ნახე! პირში გაუთავა. ნაძირალა! ქალი კი ახლა ცხვირსახოცში აფურთხებს. ვერ ჩაყლაპა. ისე, მართალია, ირანულ ხიზილალას არ შეედრება. მიცემით კი აძლევ, მაგრამ არაბის თესლის ყლაპვა კი ნამეტანია, არა, ჩემო კახპავ? შეხედე ერთი, რა ბედნიერები არიან. ფოტო გეგონება.

არა უშავს, ვაზღვევინებ. ვიყავი ჩემთვის, "ბარ დე ლუბ-ლიში", დახლს დაყრდნობილი, ვწრუპავდი პასტისს, ვუზი-არებდი რასისტულ აზრებს ჩემნაირ ბედკრულებს. უცებ, მობილურზე დამირეკეს. უნდა წამოვიყვანო, გავიზიარო მათი უმწიკვლო ბედნიერება ჩემი უღიმღამო წითელი სი-ფათით და თანაც მადლიერი დავრჩე?

გადამთიელმა მოვლილი თითები გაქერავებულ ქალ-ბატონს თმებში შეუცურა. Viva forever. მოიცა ერთი! ცო-ტათი ნაკლები ამპარტავანი დარჩება ამქვეყნად, როცა ამ "ჯეთსოსაიტური" ანგელოზების სახეები დაფშვნილი მი-ნით დაიფარება. ადრე თუ გვიან, ყველას გვეძლევა შანსი და ხელიდან არ უნდა გავუშვათ. აქამდე მე ასეთი შემთხ-ვევა არ მქონია. დღეს ჩემი დარჩენილი ცხოვრების უკა-ნასკნელი დღეა. ყველგან კარი მომიკეტეს, მაგრამ ამ სა-ღამოს ბატონ-პატრონი მე ვარ. პირველად გამიჩნდა მი-ზანი: როცა სიცოცხლეში არ გაგიმართლა, სიკვდილში მა-ინც უნდა გაგიმართლოს.

"მისტერ პოლ, you're driving too fast!"[1]

აჰა! დამანდრაჟდა პრინცესა! ასეთ შემთხვევას ხელი-დან ხომ არ გავუშვებ. ალმა მოახლოვდა. გვირაბში შევი-ჭერით საათში ორასი კილომეტრის სიჩქარით. მიდი, ჰე! საჭის ერთი მოტრიალება, დასაკარგი არაფერი მაქვს: კე-დელს ვასკდები. ჯანდაბამდეც გზა გქონიათ ყველას! მთელი მსოფლიო გამიცნობს.

დიდებული სიკვდილია, სასტუმრო რიცივით...

რა იცი, იქნებ 2000 წლამდეც დავრჩე ცნობილი.

---

[1] ძალიან სწრაფად მიგყავთ!

უდიდესი ცოცხალი ფრანგი მწერალი

პარიზი პატარა ქალაქია: ჰოდა, ვიცოდი, რომ ერთ დღესაც შევხვდებოდი მას. თუმცა, როგორც საერთოდ ხდება, როცა რამეს დიდხანს ელოდები, ჩემი შეხვედრაც უდიდეს ცოცხალ ფრანგ მწერალთან სულაც არ შედგა ისე, როგორც წარმომედგინა. უნდა გამოვტყდე, ნამდვი-ლად არ ველოდი, რომ მას პრინცესას ქუჩის გზისპირა არ-ხში გავიცნობდი. მოგვიანებით შევიტყვე, ამაში არაფერი ყოფილა გასაოცარი, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ საკმაოდ მიამიტი და წესიერი ვიყავი.

უდიდესი ცოცხალი ფრანგი მწერალი წყალში ეგდო და ეტყობოდა, რომ ამაში დამნაშავე სულაც არ იყო რუსო[1]. თუ მაინცადამაინც დამნაშავე გაინტერესებთ, ამ როლში ჯონი უოლკერი უფრო გამოდგება, რადგან უდიდესი ცოცხალი ფრანგი მწერლის ბახუსი არ გახლდათ პატრიო-ტული წარმოშობის.

რაღაცას ბუტბუტებდა წვერში ჩამალული პირით. ყუ-რი მივადე: თურმე სწყუროდა. წამოდგომაში მივეხმარე.

---

[1] "დამნაშავეა რუსო" - სიტყვები გავროშის სიმღერიდან (ვიქ-ტორ ჰიუგოს "საბრალონი"). სიტყვების თამაში Rousseau და ruisseau - ნაკადული.

მადლობა ღმერთს, რომ პრინცესას ქუჩაზე მრავლად იყო სასმელით მოვაჭრე დაწესებულება, რომელიც გვიანობამდე არ იკეტებოდა.

ჩვენს ლიტერატურაში დამკვიდრებული მისი ერთადერთი "ფრთიანი" გამონათქვამის საპირისპიროდ, უდიდესი ცოცხალი ფრანგი მწერალი ტყვიასავით მძიმე აღმოჩნდა. შევედით თუ არა ტონისთან, პირველსავე სკამზე დაებერტყა.

სამწუხაროდ, ის სკამი დაკავებული აღმოჩნდა და ტონი იძულებული გახდა, ჩარეულიყო, რომ თავიდან აეცილებინა სამართლიანი შეხლა-შემოხლა. ამით ვისარგებლე და ერთი ჭიქა წყალი და ასპირინი ვთხოვე.

იმ დროს კარგად არ ვიცნობდი მწერლებს. მერე რა, ბოლოს და ბოლოს, საკუთარ შეცდომებზე ვსწავლობთ. ჰოდა, გავიმშრალე წყლით განუწული სახე. უნდა მივმხვდარიყავი, რომ ამ შუაღამისას არავინ დამაწყებინებდა ექიმობანას სენ-ჟერმენ-დე-პრეს ქუჩებში. ყოველგვარი ეჭვის გარეშე იყო, რომ ზრდილობის ფარგლებს გავცდი. ახლა კი მივხვდი, რომ უდიდესი ცოცხალი ფრანგი მწერლის პირით წარმოთქმულ სიტყვას "მწყურია" ჰქონდა გარკვეული კონკრეტული მნიშვნელობა. შეცდომა რომ გამომესწორებინა, გადავწყვიტე, მეც მონაწილეობა მიმეღო მის ეპოპეაში.

ასეთი ტურნე ცხოვრებაში აღარასოდეს გამიმეორებია.

ჯერ იქვე, ტონისთან მოვყოჩაღდით უწყლო პასტისით და, შემდეგ, უდიდეს ცოცხალ ფრანგ მწერალთან ერთად თავაწყვეტილ სრბოლაში გადავეშვი. მეთოდურად ავითვისეთ გიზარდის და კანეტის ქუჩების ყველა ბისტრო. "ტაიო!", "აბორდაჟზე!" ღრიალებდა ის და აშკარად მაგონებდა რომელიღაც ერთი მისი ცნობილი რომანის გმირს. მალე, ღამე გადაიქცა ერთმანეთში არეული სინათლეებისა და შორეული სიცილის შთაბეჭდილებად. ეს ხილვები სულ უფრო და უფრო სწრაფად ტრიალებდა, როგორც ვენური სასახლის ჭაღები შტრაუსის ვალსის ცეკვისას; როცა შამპანურის ბუშტები სახეში გეფრქვევა გარდასული დროის ცრემლებად; და მაინც ცეკვავ და მღერი, რომ დაიიწყო შენი სიყვარული, რომ დაივიწყო ცხოვრება, რომელიც ფეხდაფეხ მოგყვება.

მოკლედ, ცოტა ხანში ველარაფერს ვარჩევდი.

და აი, ამ დროს მოხდა ერთი უცნაური ინციდენტი. მაზარინის ქუჩაზე, უდიდესი ცოცხალი ფრანგი მწერალი დაიცხრა რუბენსის დახლთან მოკალათებულ ახალდაზრდა რაგბისტებს, საყელოში ჩააფრინდა ორ მათგანს და გინებით აიკლო. დაკუნთულმა სპორტსმენებმა ლაზღანდაროობა სწრაფად შეწყვიტეს და ბიძაჩვენს ძიძგილაობა დაუწყეს. ის კი თავისას არ იშლიდა და ისევ პედერასტებს, უკნიდან ნახმარებს, გამოქლიავებულებს და ქვეშაფსიებს ეძახდა. მაშინ ძიძგილაობა გადაიზარდა მუშტებად სიფათში, წიხლებად მუცელში და ყვერებში, თავურ დარტყმებად ცხვირში.

ბარის კუთხეში შევიყუჟე და თვალს ვადევნებდი, როგორ ენაცვლებოდა ერთმანეთს ოთხ-ოთხი რაგბისტი, რომ ვილაცის მანქანისთვის საქარე მინა ჩაემტვრიათ უდიდესი ცოცხალი ფრანგი მწერლის თავით.

როგორც კი ჩხუბი დამთავრდა, მის საშველად გავფრინდი. ოდნავადაც არ დაუნდიათ. ცხვირიდან და ორივე წარბიდან სისხლი მოთქრიალებდა. თავიდანაც უხვად სდიოდა სისხლი და ორი კბილი ჩამტვრეული ჰქონდა.

ვკითხე, რა გეტაკა, ეს ღონემოძალებული მუტრუკების ბანდა რომ ააგდე-მეთქი. პასუხად შარვალზე გადამარწყია. ხელები ჩამოვყარე. უდიდესმა ცოცხალმა ფრანგმა მწერალმა კი ამასობაში ჩემს მუხლებზე ჩაიძინა.

ავიყვანე ხელში, მხნეობა მოვიკრიბე და ზურგზე მოვიგდე. ღვთის წყალობით, სენ-ჟერმენის წვრილმანების მაღაზიის აფთიაქი ჯერ ღია იყო. მორიგე ქალიშვილს სახე უცნაურად მოექცა, როცა დაგვინახა: მე – მაღალი, გამხდარი, უგონოდ გალეშილი, ნარწყევითა და სისხლით მოსვრილ შარვალში, და ის – უდიდესი ცოცხალი ფრანგი მწერალი, ჩემს სუსტ მხრებზე გადაკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ არაქათგამოცლილი ვიყავი, მაინც მოვახერხე, ამეხსნა, რომ ეს გამოჩენილი პიროვნება სულ ცოტა ხნის წინ ძალადობის მსხვერპლი გახდა და პირველად დახმარებას საჭიროებდა. ქალიშვილმა იატაკზე დააწვინა და 90-გრადუსიანი სპირტით შეშუპებული სახის წმენდა დაუწყო.

უდიდეს ცოცხალ ფრანგ მწერალს ტკივილისაგან ყოვლად საპატიო ყმუილი აღმოხდა. ნაკლებად საპატიო ის იყო, რომ ექთანს ბლუზის კალთები აუწია და ისე დაუკბინა ძუძუები, რომ სულ სისხლი ადინა. ასეთი საოცარი მეთოდით ის მადლობას უხდიდა ადამიანს, რომელიც მისი ჭრილობების დეზინფექციას ცდილობდა.

უკვე ჩარევას ვაპირებდი ქალიშვილის გადასარჩენად, რომ მის ბაგეებზე ბევრისმთქმელი ღიმილი შევამჩნიე: ნაღდად სიამოვნებდა! უდიდეს ცოცხალ ფრანგ მწერალზე შემოსკუპებული ალქაჯი უკვე სარცხვინელს უცაცუნებდა გასისხლიანებულ ცხვირზე (იმის ნაცვლად, რომ სტერილური ბამბით გაეწმინდა). აღარაფერი მესმოდა. როცა ბლუზმა სალაროს გადაუფრინა და კბილის ჯაგრისების თაროზე დაეშვა, გარეთ გამოვედი სულის მოსათქმელად.

უკან რომ შევბრუნდი, სიგარეტს ეწეოდნენ; ექთანი ჰალსტუხის შეკვრაში ეხმარებოდა. უდიდესი ცოცხალი ფრანგი მწერალი, როგორც ჩანს, თავს მშვენივრად გრძნობდა. დამინახა თუ არა, წამოფრინდა და ყვირილით მეგებდღვნა: "დაიჭირეთ! ქურდია! საფულე მომპარა!" რაც ძალი და ღონე მქონდა, მოვცოცხე, მაგრამ უცებ წამომეწია. თან სიცილით სკდებოდა, რომ ასეთი კარგი საბაბი იპოვა აფთიაქარისგან თავის დასაღწევად. მერე გამოიცხადა, ჩვენი ტურნე უნდა განვაგრძოთ, ღამე ახლა იწყებაო. მე, ჩემდათავად, გული აღარ მიმიწევდა თავგადასავლებისკენ, მაგრამ ასეთ გამოჩენილ პიროვნებასთან ღამის გატარების საშუალება ხშირად როდი გეძლევა ეტაკს. ჰოდა, დავთანხმდი, ოღონდ ჩემს თავს პირობა მივეცი, არც ერთი წვეთი აღარ დამელია.

ჩვენი შემდგომი ლაშქრობა დიდებული, გრანდიოზული და ბურლესკური აღმოჩნდა. უდიდესი ცოცხალი ფრანგი მწერალი გადამდებ გიჟურ სიცილს აფრქვევდა. მას ყველგან ქათინაურებით და ტაშით ეგებებოდნენ, გულში იკრავდნენ. თვით რესპუბლიკის პრეზიდენტი (დიახაც რომ) ვერ ინატრებდა ასეთ შეხვედრას. ბარი ბარს გადაება და ჩვენს ავიწყვიტეთ. რა თქმა უნდა, სასწრაფოდ დავარღვიე ჩემი აზრს მოკლებული პირობა და ამ დიდ ადამიანს სმაში მხარი ავუბი. მეყო მაყურებლობა, მაინც ვერ გამოვასწორებ ჩემს ადამიანურ ბუნებას. თანაც სიმღერით თავი მოვიკალი, ხმა და ძალა არ დამიშურებია და ახლა ყელი მიშრებოდა.

ველარაფერი გვაჩერებდა. ვძვრებოდით მაგიდებზე და სიტყვას წარმოვთქვამდით, "ვივას" შეძახილებით წაქეზებულები ჩვენს პერანგებს ვჩუქნიდით უცნობებს და შამპანურით ვწუწავდით გოგონებს. მონაცვლეობით ერთმანეთს მხარზე ვაცოცდებოდით, რომ შორიახლო მომდევნო ნავსადგური გვეპოვა მარაგის შესავსებად, მთვრალი მეკობრეების გემის გუშაგივით, რომელიც თვალებით ჭამს ჰორიზონტს მსხვერპლის დანახვის მოლოდინში. დიახ, სწორედ ასე იყო. უდიდესი ცოცხალი ფრანგი მწერალი და მე ვიქეცით მთვრალ ხომალდად.

ამ უთავბოლო სიგიჟის შემდეგ ჩვენი მთვრალი ხომალდი კასტელთან მივაყენეთ. ეს ბარი წააგავდა ზღვისპირა დუქანს, რომლის პატრონმაც იცოდა, რომ გაგებით უნდა მოკიდებოდა ჩაძირული გემიდან გადარჩენილ მეზღვაურებს. ჭიქები დაცლას ვერ ასწრებდა, მიუხედავად იმისა, რომ გამგელებული ვეწაფებოდით სასმელს. მე მგონი, სწორედ ამ კონკრეტულ მომენტში გადავწყვიტე ლიტერატურასთან დამეკავშირებინა ჩემი ცხოვრება. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და ალკოჰოლს კარგად ვერ ვიტანდი.

უცებ, უდიდეს ცოცხალ ფრანგ მწერალს ხასიათი წაუხდა. ბარში მისი ცოლი შემოიჭრა; ხელკავით მოჰყავდა იმხანად მოდური ერთი ახალგაზრდა მწერალი. ეს ყმაწვილი ეკუთვნოდა "ნეო-მობუზღუნეთა" ჯგუფს, ლხინის მოტრფიალე ლიტერატურულ საძმოს, რომელიც რამდენიმე გამომცემლობისა (ლე რესიფის, ლა ტაბლ დ'ოტის) და ერთი ახალი ჟურნალის, "შანზ-ელიზე", ირგვლივ ტრიალებდა. უდიდესი ცოცხალი ფრანგი მწერალი რომ იცნო, ახალგაზრდა ავტორი ბედნიერებისგან გაშეშდა და ხელი

გაუწოდა. სულ ტყუილად გაისარჯა. პირადად მე თავი ცუდად ვიგრძენი, რადგან მივხვდი, რომ ახალი დრამა ახლოვდებოდა. ამჯერად, გუმანმა არ მიმტყუნა.

ის, რაც ამ ახალგაზრდა ავტორისგან დარჩა, სასწრაფო დახმარების მანქანამ წაიყვანა. უდიდესი ცოცხალი ფრანგი მწერალი და მისი ცოლი კი ერთმანეთს თმებში ჩაფრენოდნენ და სლოუს ცეკვავდნენ. მე ჭიქებში დარჩენილ სასმელს ვცლიდი. შევეცადე გონებაც დამეცალა. ცველაფერი ისე სწრაფად მოხდა. ნეტა, ყოველ საღამოს ასეთი თავგადასავალი უნდა გადამხდეს, მწერალი რომ გამოვიდე? ნეტა, ამის გარეშე არ შეიძლება? შემოქმედება და დესტრუქცია მართლა განუყოფელია ერთმანეთისგან? კიდევ სხვა ამგვარი კითხვები მომეძალა.

მერე ჩამეძინა.

უდიდესი ცოცხალი ფრანგი მწერალი რამდენიმე თვეში გარდაიცვალა. ახლა უკვე ათი წელი გავიდა მას შემდეგ. დღესაც ვერ გამიგია, როგორ ახერხებდა ერთად ორივეს: წერას და ცხოვრებას?

ამ კრებულის ყველაზე გულისამრევი მოთხრობა

გაფრთხილება: ზოგიერთმა ადგილმა
შეიძლება ცუდად იმოქმედოს რომანტიუ-
ლი მკითხველის მგრძნობიარე ბუნებაზე.

გული მიგრძნობს, რომ კიდევ ვიტირებ ამ ამბის გახსე-ნებისას. მაგრამ აუცილებლად უნდა მოვყვე: ჩემმა მაგა-ლითმა შეიძლება სხვებს ასწავლოს ჭკუა. მაშინ იმის ილუ-ზია მაინც მექნება, რომ ჩემი ცხოვრების ყველაზე ლამაზი სიყვარულის დანგრევა რაღაცას ემსახურა.

.ყველაფერი ხუმრობით დაიწყო. გუშინდელივით მახ-სოვს. ვკითხე, რას გააკეთებდა სიყვარულის დასამტკი-ცებლად. მიპასუხა, რომ ნებისმიერ რამეზე მზად იყო. გა-ეულიმე. მანაც ღიმილი შემომაგება. ეჰ, ჭკუა არ მოგვე-კითხებოდა!

ცხადია, აქედან აგორდა. ადრე წამდაუწუმ ვიყოფდით სარეცელს, სხვაზე არაფერზე ვფიქრობდით. სიყვარულის დასამტკიცებლად ეს სავსებით კმაროდა. თითქოს ჭიქა წყალს ვსვამდით, ოღონდ იგი უფრო გემრიელი იყო და თან გამუდმებით გვწყუროდა. საკმარისი იყო შემოეხედა, რომ ჩემი ასო გამოცოცხლებულიყო. ტუჩებს ოდნავ გაა-ღებდა; მე ჩემსას შევაგებებდი; ენით ღრძილებზე მეა-

ლერსებოდა; კანფეტ "ტაგადას" მარწყვის გემო ჰქონდა; თითებს ვშლიდი მის სურნელოვან თმებში; ხელს მიცურებდა პერანგში და კანზე მეფერებოდა; სუნთქვა გვიჩქარდებოდა; ვუხსნიდი შავი მაქმანის ლიფს და კერტებს ვუთავისუფლებდი; მათ კანფეტ "კრემას" გემო ჰქონდათ; მთელი მისი სხეული საშაქარლამო გახლდათ; თვითმომსახურებით; fast-food, რომელშიც არასდროს ვჩქარობდი, ზანტად დავსეირნობდი; ვყოყმანობდი, რომელი ამერჩია, დასველებული ქვედა საცვალი თუ წყვილი ძუძუ; როცა ზასაობ, კონტროლს კარგავ; დროდადრო ითიშები; გათავებისას მის სახელს ვყვიროდი; არც ის იშურებდა ხმას და ჩვენი ყვირილი იქაურობას იკლებდა.

წერტილ-მძიმე მეტად ეროტიკული რამეა.

ერთი ჩვეულებრივი შეყვარებული წყვილი ვიყავით. საბოლოოდ კონტროლი მაშინ დავკარგეთ, როცა გადავწყვიტეთ, რომ სიყვარულს დამტკიცება სჭირდება. თითქოს სარეცლის გაყოფა აღარ კმაროდა.

თავიდან უწყინრად ვერთობოდით. მთხოვდა, ერთი წუთის განმავლობაში სუნთქვა შემეკავებინა. თუ გამომივიდოდა, ესე იგი, მიყვარდა. ეს ადვილი იყო. მერე რამდენიმე დღე მასვენებდა. მაგრამ შემდეგ მე ვიწყებდი.

"თუ გიყვარვარ, თითი სანთლის ალზე გააჩერე მანამ, სანამ არ გეტყვი, გამოწიე-მეთქი".

ნამდვილად ვუყვარდი. ბევრი ვიცინეთ, როცა საჩვენებელ თითზე დამწვარ ადგილს ვმკურნალობდი. რა ვიცოდით, თურმე თითი ეშმაკის ხათაბალაში ჩაგვიყვია.

ჰოდა, გავაგრძელეთ ასე, რიგრიგობით. მაგრად გავუტიეთ. მისთვის რომ სიყვარული დამემტკიცებინა, თანმიმდევრობით:

– გავლოკე უნიტაზი;

– დავლიე მისი ფისი;

– მთლიანად წავიკითხე ჟუდიტ გოდრეშის წიგნი;

– ჩავიხადე საქმიანი სადილის დროს;

– ვაჩუქე ასი ათასი ფრანკი ისე, რომ ერთად არ დავწოლილვართ;

– გაუპროტესტებლად მივიღე მისგან ორი სილა ხალხით სავსე კაფე "მარლის" წინ;

– ცოცხის შესანახ კარადაში ჩაკეტილი ვიდექი ათი საათის განმავლობაში;

– ძუძუებზე მოვიჭირე ნიანგისპირიანი სარჭი;

– ჩავიცვი ქალურად ვახშამზე, როცა სტუმრად ჰყავდა მეგობრები და ვემსახურე სუფრას.

ჩემდათავად, იმისათვის რომ შემემოწმებინა მისი სიყვარული, ვაიძულე:

– შეეჭამა ძაღლის განავალი ქუჩაში;

– უკანა ხვრელით ეტარებინა განდონი სამი დღის განმავლობაში და კუჭში არ გასულიყო;

– ბოლომდე ენახა ლელუშის უკანასკნელი ფილმი;

– გაეხვრიტა კლიტორი ანესთეზიის გარეშე;

– წამოსულიყო წვეულებაზე ჩემთან ერთად და გულგრილად ეყურებინა, როგორ ვაბამდი მის მეგობრებს;

– სქესობრივი კავშირი დაემყარებინა ძაღლთან, რომლის განავალიც შეჭამა;

– მთელი დღის განმავლობაში საცვლების ამარა მდგარიყო შუქნიშნის ბოძზე მიბმული;

– განესახიერებინა ძაღლი თავის დაბადების დღეზე და სტუმრებს ყეფით შეხვედროდა;

– ყელზე თასმაგამობმული წამომყოლოდა რეჟინთან.

ჰო, რა: თითქოს ომი გამოვაცხადეთ. მაგრამ ეს მხოლოდ შესავალი იყო, რადგან შემდეგ ორმხრივი თანხმობით გადავწყვიტეთ, რომ სხვა ადამიანებიც მოგვეწვია სიყვარულის დამტკიცებაში მონაწილეობის მისაღებად.

ერთ საღამოს, სადისტ მეგობრებთან წავიყვანე. თვალები აკრული ჰქონდა და ხელებზე ბორკილი ედო. კარებთან, ზარის დარეკვის წინ, თამაშის წესი შევახსენე:

"თუ შეწყვეტას მოგვთხოვ, ესე იგი, აღარ გიყვარვარ".

წესი ზეპირად იცოდა.

ჩემმა სამმა მეგობარმა ჯერ ტანსაცმელი მაკრატლით დაუჭრა. შემდეგ ერთმა ხელები ზურგს უკან გაუკავა, ხოლო დანარჩენებმა კაბა, ლიფი და წინდები დაუფლითეს. შიშისგან კანკალებდა, როცა ცივი ლითონის შეხებას გრძნობდა კანზე. როცა გააშიშვლეს, მოფერება დაუწყეს ყველგან: ძუძუებზე, მუცელზე, დუნდულებზე, სარცხვინელზე, ბარძაყებზე, შემდეგ სამივემ იხმარა, ჯერ თითებით, შემდეგ ასოთი, თავიდან ცალ-ცალკე, შემდეგ ერთად (ერთმა პირში, მეორემ საშოში, მესამემ უკანა ხვრელში: მთელი ეს პროცედურა შესანიშნავად იყო ორგანიზებული). როცა ასე შეწყობილად გაათავეს, გადავიდნენ სერიოზულ რამეებზე.

ხელებით მიაბეს თავს ზემოთ კედელზე მიმაგრებულ რგოლზე. თვალებიდან სახვევი მოხსნეს, რომ დაენახა მათრახები და შოლტები. შემდეგ, ფეხებით მიაბეს კედელზე და თვალები ისევ აუკრეს. ოცი წუთის განმავლობაში ვურტყამდით, ოთხივე. როცა შევწყვიტეთ, ძნელი იყო გაგერჩია, ვინ უფრო დაღლილი იყო, ტკივილისაგან სასომიხდილი, კვნესითა და ყვირილით ფილტვებდამსკდარი მსხვერპლი თუ არაქათგამოცლილი ჯალათები,

ძალ-ღონის დაუშურვებლად რომ იქნიეს ხელები. გაუძლო. ესე იგი, ვუყვარდი.

ამის აღსანიშნად საზეიმოდ დავშანთეთ მარჯვენა დუნდულზე.

შემდეგ ჩემი ჯერი დადგა. რადგანაც მიყვარდა, ყველაფერი აღუშფოთებლად უნდა ამეტანა. რასაც დასთეს, იმას მოიმკი. ჰოდა, წამიყვანა ვახშმად თავის "ექს"-თან, რომელსაც ვერ ვიტანდი. ვახშამი რომ დავასრულეთ, გამოუცხადა:

"ჩემო სიყვარულო, მე არ დამვიწყებიხარ".

შემდეგ თავით ჩემზე ანიშნა და განაგრძო:

"ეს გოიმი ვერასდროს შეცვლის იმას, რაც ჩვენ გვქონდა. სხვათა შორის, ისეთი არარაობაა, რომ არც გაინძრევა, ახლა რომ სექსი დავიწყოთ".

გაუნძრევლად ვიჯექი ჩემს ადგილზე. ამასობაში კი ის ჩემი წინამორბედის და მოსისხლე მტრის მუხლებზე ფეხებგადალაჯებული მოკალათდა, პირით მისკენ. ტუჩებში კოცნიდა და ასოზე ეფერებოდა. "ექსი" შეცბუნებული მიყურებდა, მაგრამ მე არ ვრეაგირებდი და ისიც აჰყვა, ცოტა ხანში ასოზე წამოაცვა. ასე არასოდეს დავტანჯულვარ მთელი ჩემი არსებობის მანძილზე. მინდოდა ადგილზე მოვმკვდარიყავი. მაგრამ გულში ვიმეორებდი, რომ ეს ტანჯვა ჩემი სიყვარულის დამამტკიცებელი საბუთი იყო. როცა ერთად გაათავეს, მომიტრიალდა და, ღონემიხდილმა, გაოფლიანებულმა, მთხოვა, წავსულიყავი, რადგან სურდათ, ყველაფერი გაემეორებინათ, ოღონდ უჩემოდ. ახლა კი გაცოფებული და სასოწარკვეთილი ავქვითინდი. ემუდარებოდი:

"შემიბრალე, ამას მირჩევნია თითი მომაჭრა!"

სიტყვაზე დამიჭირა. მარცხენა ნეკა თითის პირველი ფალანგა ჩემმა მეტოქემ მომაჭრა. გაუსაძლისი იყო, მაგრამ არა ისეთი, როგორიც მათი მარტო დატოვება. თანაც: მარცხენა ხელით რომ ყურს ვეღარ მოვიქექავდი, გაცილებით ნაკლები მსხვერპლის გაღება იყო, ვიდრე ის, რომ ამ ბრიყვს ჩემთვის რქები დაედგა.

ამის შემდეგ ჩვენს სიყვარულს სულ უფრო მეტი მტკიცება დასჭირდა.

მე ვაიძულე, ეცხოვრა შიდსის ვირუსის მატარებელ მეგობართან პრეზერვატივის გარეშე (ველური ღამე...)

მან მთხოვა მამამისისთვის მომეწუწნა.

მე დავაყენე ფოშის გამზირზე სამეძავოდ: აიყვანეს და ჯგუფურად გააუპატიურეს პოლიციელებმა და რამდენიმე მაწანწალამ. თითიც არ გამინძრევია – ხომ მომაჭრა და... მან უკანა ხვრელში შემიტენა ჯვარი ქრისტეს ჯვარცმით, ჩემი დის დაკრძალვის პარაკლისზე. მანამდე კი მაიძულა, მის ცხედართან მეცხოვრა.

გავუიმე ყველა მისი საუკეთესო მეგობარი მის თვალწინ.

მან მაიძულა მოწმედ წავყოლოდი და ხელი მოაწერა ერთი მდიდარი ბირჟის აგენტის შვილთან.

შიშველი ჩავკეტე ვირთხებითა და ობობებით სავსე სარდაფში.

ყველაზე უარესი: იქამდე გათავხედდა, რომ მაიძულა მარტო მევახშმა რომან ბორენჟესთან.

ერთი წლის განმავლობაში ყველაფერი მოვიმოქმედეთ. ყველაფერი. იქამდე, რომ იდეები თითქმის გამოგველია.

მერე, ერთ დღესაც, როცა მისი გამოცდის ჯერი დადგა, მოვიფიქრე ხერხი, რითაც საბოლოოდ დამიმტკიცებდა, რომ ვუყვარდი და ვეყვარებოდი სამუდამოდ.

არა, არ მომიკლავს. მოკვლას რა უნდოდა! მე მსურდა, მთელი ცხოვრება ტანჯვაში ყოფილიყო და ამით ჩემთვის ყოველ წამს დაემტკიცებინა აბსოლუტური სიყვარული სიკვდილამდე.

ამიტომაც მივატოვე.

და აღარასოდეს ვუნახივარ.

რაც მეტი დრო გადის, მით მეტად ვიტანჯებით უერთმანეთოდ. მრავალი წელია, ცრემლად ვიღვრებით. მაგრამ მან ჩემსავით კარგად იცის, რომ სხვაგვარად არ შეიძლება.

ჩვენი სიყვარულის დამამტკიცებელი ყველაზე ლამაზი საბუთი ისაა, რომ აღარასოდეს ვნახავთ ერთმანეთს.

ქალთა მჭვრეტელი, 2

სექსი უწყვეტ შოუდ იქცა, ჩვენ კი მის ბეჯით მაყურებლებად: კვირა საღამოს, ასე, თერთმეტის ნახევრისთვის, ვრთავ ტელევიზორს M6-ზე: დიდებული მულატი ქალი, ბოდლერს რომ ევასებოდა ისეთი, აღაგზნებს Johnson's Baby Oil-ის ლოყებიან შვედ გოგონას: სულგანაბული ვაკვირდები: ერთმანეთს ეხახუნებიან, დედიშობილები: მათი კრუსუნ-კრუტუნი ფრანგულადაა გახმოვანებული: ჩემი სამყარო სავსეა ამგვარი ხილვებით: ეკრანზეა ორმაგი შეყოფა, შედი-გამოდი და სახეში შესხმა: ტანსაბანი გელის სარეკლამო რგოლები, სადაც მანეკენები მკერდს იქაფავენ: როგორც თვალებაკრული მადონას, ან ზაზის კლიპში – იქ ყველას უხვი ოფლისდენა უტყდება სხეულის ფერებისას: ერთხელ ზაზის შევხვდი: საუბრისას თავში სულ ეს ფსიქიატრიული საავადმყოფოს ორგია და მისი გამხდარი, შეღებილი სხეული მიტრიალებდა: განეუცხადე, რომ ჩემი საყვარელი ფილმია ალფრედ ჰიჩკოკის "ფანჯარა ეზოში": იგი ათასჯერ სჯობს "Body Double"-ს და "Sliver"-ს, თუმცა კი იმავე რეგისტრშია: ქერეტა-თვალთვალზეა: ხშირად მესიზმრება, რომ ვზიარ ფეხმოტეხილი და ოტ-კუტურის კაბაში გამოწყობილი გრეის კელი მეხმარება მოპირდაპირე სახლის მეზობლების ქოგრიტით თვალთვალში: მთელ ნაშუადღევს ფანჯ-

რის წინ, მალულ ჭვრიტინში ვატარებთ: სამწუხაროდ, ჩემი ფანჯრები ეზოს გადაჰყურებს და იქ მხოლოდ კონსიერჟია, ნაგვის ყუთებს ალაგებს: ფანჯრებთან ქვედა საცვლის ამარა მოსეირნე სექს-მეზობლები არა მყავს: მერწმუნეთ, ძალიან ვწუხვარ: ზოგჯერ, ნაკლებად მჭვრეტელი ვხდები და უფრო მსმენელად ვიქცევი ხოლმე: ნეტარებით ვაყურადებ ჯეინ ბირკინის ვნებიან კვნესას "მე შენ მიყვარხარ, არც მე"-ში: ჩემი ბინის თავზე მობინადრე წყვილიც არანაკლებ ვნებიანად კვნესის: ვუსმენ ხოლმე მათი საწოლის ჭრიალს, რომელიც თანდათან ჩქარდება: თვალებს ვხუჭავ, რომ ისევ მჭვრეტელად ვიქცე: წარმოვიდგენ წვეულებას: ამ დროს ჩემი ყოვლისმჭვრეტელობა ლაღად შლის ფრთებს: ვზივარ ჩემთვის მარტო და ვტკბები მეძავებივით ჩაცმული ჩემი არისტოკრატული მეგობრებით და არისტოკრატებივით გამოწყობილი ჩემი მეძავი მეგობრებით: წარმოვიდგენ, რომ დიდი გეტსბი ან ენდი უორჰოლი ვარ და მშვიდად ვწრუპავ სასმელს, ამასობაში კი ჩემი მეგობრები ერთმანეთთან "ჰერმესის" ფირმის მათრახებით აგვარებენ ურთიერთობას: გამთენიისას, შინ რომ ვბრუნდები, გზადაგზა პრესით გამოტენილი ჯიხურები მხვდება. ჟურნალებს მაცდური სახელები აქვთ: "დემონია", Pussy Mag, Pandora's box, The Financial Times: ტაქსში ჩაჯდომამდე სექს-შოპის ვიტრინაზე ვკითხულობ "100 ფილმი 10 ფრანკად, უწყვეტი პიპ-შოუ, ტყავის სექს-საცვლები, თავშესაქცევი ნივთები, თეთრეული": თავს ვიკავებ, რომ არ შევიდე, იმიტომ რომ ხალხი მცნობს: ასეთია ჩემი ცხოვრება: ჩვენი ცხოვრება-მეთქი, მინდოდა მეთქვა: მენტალური შიდსი კი არა მჭირს, მენტალური პრეზერვატივი გვაქვს ჩამოცმული: ეს ჩვენებური თავდაცვის წესია – ყველაფერს ვუცქიროთ, მაგრამ არაფერი ვაკეთოთ: ჩემი ასო თვალებია: რომ იცოდეთ, რამდენი ტოპ-მოდელი გადავჟიმე თვალებით: ვიზუალური ავხორცი ვარ: ვაკვირდები ადამიანებს, როგორ ცხოვრობენ, წვალობენ, კვდებიან: ტელევიზორში ან ცხოვრებაში: უცნობ ქალებთან ლაპარაკი მაფრთხობს: მორცხვი ვარ და იმიტომ, რა თქმა უნდა, მაგრამ თან საინტერესოც არაა: ვინმეს შებმის სცენარი წინასწარვე შეგიძლია მოჰყვე: შესთავაზებ სასმელს, დალევთ, ეტყვი ქათინაურებს, იცეკვებთ ჯერკს, ხელს მოუსვამ ბარძაყზე, დაუზასებენით, შინ გააცილებ სკუტერით, ბოლო ჭიქას დალევთ მასთან, აგიდგება, შეუდებ, შეხვალ-გამოხვალ, გაათავებ პრეზერვატივში, თავს შეიკავებ, რომ მაშინვე არ გამოიქცე უკან: გაცილებით ნაკლებ მოსაბეზრებელია თვალთვალი: სკოპტოფილია კონსტრუქციული სიზარმაცეა (სკოპტოფილია "მჭვრეტელობის" სინონიმია, უვიცებო): მე ყველაფრის მჭვრეტელი ვარ: რემბო თავიდან ბოლომდე ცდებოდა: პოეტი არ უნდა გახდეს ნათელმხილველი: ის უნდა იყოს მჭვრეტელი – ღრუბლების, მთვარისა და ვარსკვლავების, მზის ამოსვლისა და ჩასვლის, აეროპორტების, მგზავრების: მე მჭვრეტელი ვარ – გამვლელი ქალების, ოფიციანტი ქალების, ტელეფონზე მოპასუხე ქალების, ჰოთ-დოგის გამყიდველი ქალების: მჭვრეტელი ვარ ქრისტი ტარლინგტონის და არტის ხიდის ქვეშ მონანავე სენის, სიტეს კუნძულის ცის ტატნობის, მე ვარ მჭვრეტელი არამჭვრეტელების და ვარ მჭვრეტელი მჭვრეტელების: ბოლოს, შინ ვბრუნდები: მხოლოდ ჩემს ცოლს არ ვჭვრეტ: მასთან შურისძიების ჟინი მიპყრობს: თვალისჩინს ვკარგავ.

ექსტაზი სტრიპტიზით

უკუნეთია მთელ სამყაროში. ვეებერთელა სიცარიელე და წკვარამია, ყოვლად უაზრო. სადღაც, ამ უსასრულო სივრცეში, დაცურავს სრულიად გამოუსადეგარი სფერო, რომელსაც დედამინა ეწოდება. ამ ბითურ პლანეტაზე წყლით გარშემორტყმული რამდენიმე კონტინენტი ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძვის უმიზეზოდ. ერთს აზია ეწოდება. აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთით გიგანტური ბორდელია, სახელად ტაილანდი. ამ ქვეყნის ქვედა ნაწილში, კუნძულ ფუკეტზე თავს იყრიან უსაქმური ადამიანები. კუნძულზე ერთი სოფელია – პატონგი, სადაც ღამით სიცოცხლე განსაკუთრებულად ჩქეფს და გადმოჩქეფს. პატონგში მეძავთა ურიცხვი ბარია, მაგრამ ერთი მათგანი სხვებზე მეტად განთქმულია თავისი მომსახურებით. ეს გახლავთ "ექსტაზი სტრიპტიზით". (ქვემოთ მოყვანილი ბარათის წარდგენისას გულმხურვალედ მიგიღებენ და 20%-იან ფასდაკლებასაც შემოგთავაზებენ პირველ დანახარჯზე).

Extasy
Ago-go
BRING THIS CARD IN FOR
20% OFF YOUR FIRST DRINK
Happy Hour 20:00 - 22:00
50/51 Rat-U-Thit Road, Patong Beach, 83150 Phuket, Thailand
Tel. (01) 956 4756 Web Site: www.trv.net/extasy/

ოჰო, ეს ვინღაა? ბარის დახლს რომ დაყრდნობია ამ გარყვნილების ბუდეში და 60-ბატიან (ანუ 10-ფრანკიან) ლუდ "სინგას" წრუპავს?

ფრედერიკ ბეგბედერი... შუაღამისას.

ფრედერიკი აქ დელფინთან, თავის შეყვარებულთან ერთად ჩამოვიდა საშობაო არდადეგების გასატარებლად. ოღონდ, ამ საღამოს შეთანხმდნენ, რომ ღამით ცალ-ცალკე გაერთობოდნენ და რაც მოეხუშტურებოდათ, იმას გააკეთებდნენ, დილამდე. სინამდვილეში, ფრედერიკი და დელფინი ერთი თანამედროვე წყვილია: ორივე განქორწინებულია, ხელახლა დაქორწინება აღარ სურთ და ხანდახან ისე იქცევიან, თითქოს ცალ-ცალკე ცხოვრობენ, იმ მიზნით, რომ ერთად დარჩნენ სამ წელზე მეტ ხანს. აი, ამიტომ, ფრედერიკი დღეს მარტოა. იგი ტკბება სტრინგსა და ლიფში გამოწყობილი ქმნილებებით, რომლებიც მბრუნავ პოდიუმზე ტალღებად იკლაკნებიან და ვერტიკალურად აღმართულ ფოლადის მილებს ლოკავენ, აი, პარიზის მეტროში რომ გინახავთ, ისეთებს.

სტრიპტიზის მოცეკვავეებს თვალი გაურბით გიგანტური ეკრანისკენ, სადაც გადმოსცემენ "სამსუნგის" მიერ დაფინანსებულ ტაილანდური კრივის მატჩს. ფრედერიკს ათრობს ერთმანეთში შეჭრილი სექსისა და ძალადობის ეს სპექტაკლი. ტაილანდში გოგონები პროსტიტუციას მისდევენ, ბიჭები კი კრივს. ასეა და მორჩა.

"წყვილებს ერთგულება ღუპავს", ჩურჩულებს იგი და თვალებით ჭამს კორსეტში გამოწყობილ ერთ პატარა წაბლისფერთმიან გოგონას ლაქის მსუბუქი ფეხსაცმელებით წვრილ ქუსლებზე, ჭიპზე ყალბი ბრილიანტით და სუსტ მხარზე დრაკონის სვირინგით. გოგონა მისკენ იხრება, უღიმის, ტუჩებს ილოკავს. ფრედერიკი ბარმენს ეკითხება: რა ღირს ნომერ 25? ბარმენმა ინგლისური არ იცის და კიდევ ერთ ჭიქა ყინულივით ცივ "სინგას" სთავაზობს. უფერული დიჯეი ევროპულ ცეკვებს რთავს.

"დამნაშავის შეგრძნება მირჩევნია სიამოვნების მოკლებას", ბუზღუნებს ფრედერიკი, რადგან კათოლიკური აღზრდა აქვს მიღებული. ნეტა, სად არის ახლა დელფინი? – ფიქრობს იგი. იქნებ, ტაილანდურ მასაჟს იკეთებს. ან, წამოწოლილი პორნო-ფილმს უყურებს. ან, იქნებ, სულაც დაბოლდა და დაიძინა.

მოცეკვავე გოგონა თაღივით გადაეფარა და ძუძუებით სახეზე დაეკრა. ფრედერიკს სუნთქვა უჭირს. ამ სიყალბეშიც ადამიანს ეძებს. სხვაგვარად არ შეუძლია. გოგონას Kenzo Jungle-ის სუნი ასდის. ფრედერიკი გამხიარულდა: ამ სუნამოსთვის მან შექმნა რეკლამა. ოცდაათწამიანი ფილმი, სადაც ქერა იაპონელი ქალი ლითონის სპილოების ჯოგს ხვდება ვირტუალურ სავანაში (რეჟისორი: ჟან-ბატისტ მონდინო; მხატვარი: ტიერი გუნო). რომ იცოდეს ამ გოგონამ, ვის ცდილობს მიეყიდოს: კაცს, რომელმაც მას სუნამო მიჰყიდა! ეს ქვეყანა ერთი ციცქნაა და ყველგან კუნაპეტი ღამეა. "შეეცადეთ, მოიშინაუროთ," – მოუწოდებდა რეკლამა. რა კარგად მოუგონიათ! რასების შერევა ფრედერიკს ისევე ევასება, როგორც სხვადასხვა სასმელის. მაგრამ შოუ-გოგონა ნომერ 25 თითებს წუწნის, ტექნოს რიტმზე რხევა-რხევით შორდება და ნელ-ნელა მიემართება ორი ღიპიანი გერმანელისკენ ადიდასის მაისურებში. გერმანელები მხურვალე ტაშით ეგებებიან.

"სიყვარული და სურვილი ორი სხვადასხვა რამაა", ფიქრობს ფრედერიკი.

უცებ, ვიღაც მხარზე ადებს ხელს. ერთი ქონმოდებული აზიელი უღიმის. წვრილი ულვაშის ქვეშ ორი წინა კბილი აკლია.

"You want girl?"[1]

ფრედერიკი ხელს ხელზე ურტყამს კბილნაკლულ სუმოისტს.

"Beautiful. Why not? But I'm looking for something special."[2]

ძიაკაცი თავს უქნევს და ანიშნებს, გამომყევიო. გამოდიან ბარიდან. ოცდათხუთმეტგრადუსიანი ხვატისგან გამდნარ ასფალტზე სლალომით მიიკვლევენ გზას ერთ უბრალო კარებამდე, რომელსაც მოციმციმე წარწერა "მასაჟი პარლური" ამშვენებს. მოსიარულე ქონი პირველი შედის, ფრედერიკი ფეხდაფეხ მიჰყვება. ვარდისფერი ნეონებით გაჩახჩახებული დახლართული კორიდორების გავლის შემდეგ შედიან სალონში, სადაც შედარებით მშვიდი სინათლეა. აქ ფრედერიკი უხსნის სუმო-სუტენიორს, რომ ტრადიციული რამე-რუმეები არ სურს. ასაგზნებად უფრო მეტი სჭირდება.

"I want something special, you understand?"[3]

ტიპი ხელებს ატყუპებს, თითქოს სალოცავად ემზადებაო, თავს უქნევს და, სანამ გაუჩინარდება, ფრედერიკს სთხოვს, ცოტა ხანს მოიცადეო.

---

[1] ქალი გინდა? (ინგ.)

[2] კარგი აზრია. რატომაც არა. ოღონდ მე რაღაც განსაკუთრებულს ვეძებ. (ინგ.)

[3] მე რაღაც განსაკუთრებულ მინდა, გესმის? (ინგ.)

"Five minutes, I come back."[1]

ფრედერიკს თავში უტრიალებს მხატვარ ფრანსის ბეკონის სიტყვები: "ვიბადებით და ვკვდებით, და თუ შუალედში რაიმე მოხდა, ამას რა სჯობია!"

ბანგლა როდზე ორი ათასი კახპა მაინც შემოხვდა; ჰოდა, გული აუძგერდა. "ბოუზის" მარკის გამაძლიერებლები ჯორჯ მაიკლის ბოლო სიმღერას ახრიალებენ: "I think I'm done with the sofa / Let's go outside." დაპირებული სამასი წამის შემდეგ ქონჭარბი კამბელანი ბრუნდება ფანტასტიურ "katoey"-სთან (ტაილანდელ ტრანსსექსუალთან) ერთად: ორი ბრწყინვალე ძუძუ და ლამაზი გაბრიქინებული ფალოსი... ფრედერიკი თავით ანიშნებს, ეს არაო.

"I'm sorry."[2]

ესმის, რომ ამ ჰიატუსმა – "ორმა ერთში" შეიძლება თავისებური სიამოვნება მიანიჭოს, მაგრამ დღეს რაღაც სხვა სურს.

"You wait five minutes."[3]

ცერემონმეისტერი ამ უარს, ეტყობა, გამოწვევად ღებულობს, იმიტომ რომ კმაყოფილი ღიმილით უჩინარდება და ხელით მიჰყავს თავისი გაწბილებული drag-queen. როგორც იქნა, ერთი კერკეტი კლიენტი გამოუჩნდა! ფრედერიკი მოუთმენლად ელის შემდეგ სიურპრიზს. და ვერ ხვდება, რომ *სიურპრიზს* არ შეიძლება ელოდო: ეს სიტყვები ერთმანეთის საპირისპირო აზრს ატარებენ.

"ახლა რომ დელფინი მხედავდეს!"

---

[1] ხუთ წუთში დავბრუნდები. (ინგ.)

[2] ბოდიში. (ინგ.)

[3] ხუთი წუთი დამელოდეთ. (ინგ.)

რა გულიანად იხარხარებს, ტრანსსექსუალის ამბავს რომ მოვუყვები, ფიქრობს ფრედერიკი. სამასი წამის შემდეგ ბუდუარის კარი ისევ იღება. გასიებულ მეტრ-დოტელს ამჯერად პატარა გოგონასთვის ჩაუვლია მხარში ხელი და მოჰყავს. გოგონა თვალებს ხრის. მოსწავლესავითაა გამოწყობილი: დაპლისული ქვედაბოლო და ჩანთა, გიშრისფერი თმები ორ ლამაზ ნაწნავად მოუყვება მშვენიერ სახეს.

"My name is Sum."[1]

ქონი საზეიმოდ აცხადებს:

"Half virgin! Half virgin! Twelve years old!"[2]

უხსნის, რომ ნახევრად-ქალწული ნიშნავს გოგონას, რომელიც მხოლოდ ერთხელ იწვა მამაკაცთან. მაგრამ ფრედერიკი ისევ უარს ამბობს: მას ურჩევნია ისეთი გოგონები, რომელთაც აქვთ ძუძუები და ბალნიანი ბოქვენი (ესე იგი: ქალები).

"Sorry. Forget it. Bye Bye."[3]

ფრედერიკი ვითომ წასვლას აპირებს, მაგრამ სუმო გზაზე გადაეღობება. ამჯერად ის აღარ იცინის, ვეღარ გაუგია, რა იღონოს. რა უნდა ამ ფრანგს, მთელ მის განძზე რომ უარს ამბობს? ფრედერიკმა თვითონაც არ იცის. მაგრამ ის კი იცის, რომ რაც ნახა, არ უნდა.

"You wont grass? opium? heroin?"[4]

---

[1] მე მქვია სუმ. (ინგ.)

[2] ნახევრად-ქალიშვილი! ნახევრად-ქალიშვილი! თორმეტი წლისაა. (ინგ.)

[3] ბოდიში. დაივიწყე. ნახვამდის. (ინგ.)

[4] ბალახი გინდა? ოპიუმი? გეროინი? (ინგ.)

– არა, გმადლობთ, პასუხობს ფრედერიკი. ნარკოტიკებიდან მე ყველას ექსტაზი მირჩევნია, მაგრამ აღარ ვღებულობ: როცა მოქმედებას წყვეტს, საშინელ დღეში გაგდებს."

ბიძაკაცი გოგონას ანიშნებს, გადიო. ისიც უკან-უკან იხევს, მორიდებულად ჩურჩულებს "კოპ კუნ კა" (გმადლობთ) და უჩინარდება. კმაყოფილი ჩანს, რომ თავისი ნახევრადქალწულობა კიდევ რამდენიმე საათით შეინარჩუნა. ქონს კრიზი ეწყება:

"You say what you want. What you want, I got."[1]

რომელიღაც ჩამრთველს ხელს აჭერს, მოძრავი დარაბა იწევა და უამალგამო სარკის მიღმა ფრედერიკს თვალწინ ეშლება უფერულ დარბაზში თავმოყრილი, მოწყენილობისგან გაბეზრებული თითქმის შიშველი გოგონების რიგი.

უსიამოვნო გრძნობა ეუფლება, თითქოს მოწმის როლს თამაშობს სერიალში "New York Police Blues" და ეჭვმიტანილის ამოცნობა დაავალეს. ფრედერიკს უმასპინძლდებიან ანანას-ბროწეულ-ფორთოხლის-წვენით შეზავებული რომ-გრანმანიე-ამარეტოთი. ჩამწკრივებული გოგონები მას ვერ ხედავენ და სარკეში სახეს იღებავენ გაუთავებლად. გოგონებსა და ფრედერიკს შორის აღმართული კედელი ბერლინის კედელზე უარესია: ეს ფულის კედელია.

ერთი გოგონა საშოში ირჭობს ფლომასტერს და თავისი სარცხვინელით ფურცელზე წერას იწყებს. რამდენიმე წუთში ამ რთულ ვარჯიშს ამთავრებს, დგება და ფურ-

---

[1] მითხარით რაც გინდათ. რასაც გინდათ, გაგიჩენთ. (ინგ.)

ცელს ყველას დასანახად აფრიალებს. ზედ წერია: "Welcome." ბედნიერი ფრედერიკი აღიარებს, რომ მწერლობას ჯერ კიდევ აქვს მომავალი. ასეთ პერფორმანსს უდიდესი წარმატება ექნებოდა წიგნის სალონზე!

ფრედერიკი ათვალიერებს ნაზ ქმნილებებს. ბალიშებზე წამოგორებული გოგონები მოწყენილობისგან სულს ღაფავენ. ერთი ქერადშეღებილი გოგონა ლუდს ასმევს მის მხარზე წამოსკუპებულ მოციცქნულ გიბონს. ხომ არ გაცივდებიან, ჰაერს ხომ კონდიციონერი აგრილებს, ფიქრობს ფრედერიკი, ოღონდ ვერ ბედავს ქონს დაუსვას ეს შეკითხვა: სარისკოა, შეიძლება გარეთ მოისროლოს.

უცებ, მის ყურადღებას იპყრობს ერთი გოგონა, გამორჩეულად მოქნილი, წერწეტა და სექსუალური ტანით. სახეს ლატექსის ნიღაბი უფარავს. ფრედერიკი მისკენ იშვერს თითს. ბედნიერი სუმოტორი სიხარულს ვეღარ მალავს:

"The slave! Ha ha! Good! You stay here![1]

– Five minutes, yes, I know"[2], პასუხობს ფრედერიკი.

ახლა კი გაიგებს ფრედერიკი, რას გრძნობდნენ ჩვენი მონათმფლობელი წინაპრები. ეს მშვენიერი ყვავილი შენიღბული სახით მის ყველა ხუშტურს დაემორჩილება. როცა კბილნაკლული ქონი დაბრუნდა (რა თქმა უნდა, სამასი წამის შემდეგ), თან არავინ ახლდა. მან სთხოვა ფრედერიკს, უკან გაჰყოლოდა და შეიყვანა კარგად აღჭურვილ საწამებელ დარბაზში. რა აღარ იყო იქ: ტაიჭი, სენტ-ანდრეს ჯვარი, ღვედებიანი ბორბალი, კედელზე ეკიდა სხვადასხვა ზომის ხელბორკილები და ჯაჭვები, წკეპლები, შოლტები, მარწუხები და ხელოვნური ფალოსები – მაღალი კლასის პროფესიონალიც ვერ დაუდებდა წუნს. მონა კედელზე მიჯაჭვული დახვდა მაჯებით, კოჭებით და წელით. მას ისევ ნიღაბი ეკეთა. ფული ჩაიჯიბა თუ არა, ქონმა ხელიგულები ერთმანეთს მიატყუპა და გაუთავებელი თავის დაკვრით გავიდა.

"დავაშავე, ფიქრობს ფრედერიკი, ახლა დასავლეთიდან მოსული მამაკაცი კიდევ დიდხანს შეინარჩუნებს დამპალი მონათმფლობლის რეპუტაციას."

შემდეგ გადაწყვიტა, გაეკეთებინა ყველაფერი, რაც კი თავში აზრად მოუვიდოდა და ამ ლამაზმანისგან მიეღო მაქსიმალური სიამოვნება. (ალბათ, აქედან წარმოიშვა გამოთქმა "სიამოვნების მიღება": ქალის სხეულს იყენებ იმისთვის, რომ მისგან "მიიღო" რაც შეიძლება მეტი სიამოვნება, ისე როგორც ცდილობ "ამოიღო" რაც შეიძლება მეტი ფული მოპარული საკრედიტო ბარათით).

აქ მივადექით ელიფსისს. ელიფსი წერის ერთგვარი სტილია ზარმაცი ავტორებისთვის, რომელთაც ეზარებათ რაიმეს დაწვრილებით მოყოლა. ეს ელეგანტური მოგზაურობა დროში ზოგჯერ ხახამშრალს ტოვებს მკითხველს. ამიტომ, წინასწარ პატიებას ვითხოვთ.

ფრედერიკი მონას ანიჭებს "სიამოვნების და წამების ნაზავს" (როგორც ამბობდა ონორე ბოსტელი) და შემდეგ, ცნობისმოყვარეობა იპყრობს. სურს, იხილოს იმ სილამაზის სახეც, რომელსაც ამდენი ეფერა, იმასუქნა, რომელიც აწამა და თითქმის ყველგან დაკბინა. ჰოდა, ხსნის რამდენიმე ელვა-შესაკრავს, აძრობს ნიღაბს და ცნობს დელფინის გაბრწყინებულ სახეს, რომელიც ეკითხება:

[1] მონა! ჰა-ჰა! კარგია! დამელოდეთ! (ინგ.)

[2] ვიცი, ვიცი, ხუთი წუთი, (ინგ.)

"აუ, ფრედ, იცი, რომ დამაორსულე?"

ეს იმიტომ, რომ ყველა იგავ-არაკის დასასრული ჭკუის სასწავლებელია.

Easy Reading[1]-ის პირველი ნოველა

ჯონათანი ნელა მიუყვებოდა ვილა როკოკოდან პლაუისკენ ჩამავალ საფეხურებს და თავს არაადამიანურ ძალას ატანდა, რომ "მარტინი როსოდან" ზეთისხილი არ გადმოვარდნოდა ოთხლილიან მონაცრისფრო-თეთრ ტილოს კოსტიუმზე. მთვარე ირეკლებოდა ბერლუტის მიერ ენდი უორჰოლისთვის შექმნილი მოდელის მიხედვით შეკერილ მის ოთხკუთხაცხვირიან მწვანედ დაფერილ მოკასინებზე. უკან, პასიოში ჯესიკა (ყალბად) ღიღინებდა "The Look of Love"-ს, ვერანდაზე სონია ინელებდა ორ ლიტრ ტეტენჟეს, 1975 წლის ვარდისფერ ღვინოს, ხოლო პატარა ულრიკა ისევ ისერავდა თავისი სუსტი მაჯის პაწია ვენებს. ჯონათანი ზღვისკენ მიყიალებდა და ნაზად ფიქრობდა იმდღევანდელ წვეულებაზე, რომელიც დასასრულს უახლოვდებოდა: სირტაკი დაამთავრეს თუ არა, ქოლგებით ბრძოლა გაჩაღდა, ხოლო მარიოს BMW Z3 ანყვეტილი სრბოლის შემდეგ აუზში გადაეშვა. ოცდაათი წლისანი იყვნენ და ჯერ კიდევ შეეძლოთ კარგად გართობა. დროს ჯერ თავისი დაღი ვერ დაესვა, მშობლების ფული ადვილად იხარჯებოდა და "შენს თვალებში სიყვარულის მზერა კრთოდა". სადაცაა ინათებდა, მაგრამ ჯონა-

[1] მარტივი საკითხავი (ინგ.)

თანი მანამდე მოასწრებდა დაძინებას (ოლონდ, თითო აბი ტრანქსენი, 1000-იანი ასპეჟიკი და ოქსიბოლდინი უნდა ეშოვა). მოშორებით ანტიბის კონცხის მოციმციმე რელიეფი იკვეთებოდა. თავში ისევ აუჟღერდა მივიწყებული ბოსა-ნოვას ჰანგები: ჟობიმის "How Insensitive" სინატრას შესრულებით, ჟულიენ ბერის "ქვეყანა იქცევა", მანჩინის "Nothing to loose" კლოდინ ლონჟეს შესრულებით... რაღაც დაფარფატებდა რივიერას ჰაერში, როგორც იდუმალი კვნესა. ჯონათანი დღეს ერთ ადამიანს შეხვდა, და სხვა გოგონებმა თვალებში შეატყეს, რომ ეს შეხვედრა განსხვავდებოდა ყველა ადრინდელისგან. უცებ, ჭიქა წყალში მოისროლა და უკან დაბრუნდა. ამ ზღაპრულ არსებას, ცოტა ხნის წინ რომ კოცნიდა, შეკითხვა უნდა დაუსვას. დროა.

ერთობი, დროს ატარებ, მაგრამ დგება დღე, როცა ლაზღანდარობას ბოლო ეღება და მის ადგილს ღრმა გრძნობა იკავებს. ჰოდა, როცა ეს დრო მოვა, ზეცას მადლი უნდა უძღვნა და ბედი ხელიდან არ გაუშვა: ჯონათანი ოთხ-ოთხ საფეხურს ახტებოდა და ისე აათავა კიბე, რომ ბაღის ქანდაკებებს ერთხელაც არ სტყორცნა ჯეროვანი მზერა. არც თავისი ექს-ების (სონიას, ულრიკას და ჯესიკას – თანმიმდევრობა ანბანის მიხედვითაა დაცული) ცრემლები შეუმჩნევია, როცა დარბაზი გადაჭრა და თავისი Lotus Seven-ისკენ გაემართა. პარკის ხრეშზე მუხრუჭმოდებულმა საბურავებმა გაიხრჭიალეს. მანქანის რადიომ წაიღიღინა : "This Guy's in love with you", ისე დროულად, მეტი რომ არ შეიძლებოდა. ჯონათანს ერთადერთი მიზანი უტრიალებდა თავში: ეპოვა თავისი რჩეული, მისულიყო მასთან სასტუმროში, და დაესვა ის სატანური შეკითხვა, რომელიც მათ ცხოვრებას მთლიანად შეცვლიდა. არა, წასვლის ნება არ უნდა მიეცა, ეს როგორ დაემართა!

ზოგიერთებს არა აქვთ უფლება, ღვთის ანაბარა მიგატოვონ, მაშინ, როცა გულათრთოლებულმა როგორც იქნა მოხიბლე, მაშინ, როცა ოდრი ჰეპბერნის "Moon River"-ის ჰანგებზე სლოუ ეცეკვე, მაშინ, როცა სანთლებით განათებულ აუზში მთვარემ ერთად დაგიბინდათ გონება. როგორ უნდა შეეძლოს ასეთ მშვენიერ ქმნილებას, პირში ენა გიტრიალოს და მერე ისე წავიდეს წვეულებიდან, რომ არც დაგემშვიდობოს. არა, მაინც როგორ გაუმართლა ჯონათანს, რომ მისი მისამართი იცოდა. (ცხადია, იცოდა. აბა, ვინ არ იცის კონცხის სასტუმროს მისამართი? ჰა? ვინ?). მოსახვევებში ჯონათანი სიჩქარეს უმატებდა და ლამაზ საგზაო სიკვდილზე ოცნებობდა, შემდეგ უხაროდა გადარჩენა, რადგან არ უნდოდა სიკვდილი, სანამ პასუხს არ გაიგებდა. ახლა მას დაიენ უორვიკი მიჰყვებოდა ღიღინით "Walk on Byyyy" და ცდილობდა მისი გზნება ცოტათი გაენელებინა. ნაძვების სურნელი, თბილი ქარი და ალაღი გრძნობა გზადაგზა ფანტავდა მის ბახუსს. ერთი წამიც და ეცოდინება. მისი მომავალი გადაწყდება. ლოყებაღაჟღაჟებული შეაღებს თავისი რჩეულის ოთახის კარს და ჰკითხავს... და დატკბება იმით, რასაც იხილავს: მინაბული თვალებით, სახეზე გადაშლილი ღიმილით – აი, ისეთი, ალუბლისფერი ღიმილით, მის ბაგეზე რომ იხილა ერთხელ, მაშინ, თუმცა კი პომადა უკვე გადაცლილი ჰქონდა ტუჩებიდან. ის უპასუხებს და მას ეცოდინება და ისინი იქნებიან ბედნიერნი. მთავარი ის კი არ არის, რომ მერე ერთად ისიყვარულებენ საწოლში, არამედ ის, რომ მთელი ცხოვრება წინ ექნებათ.

მანქანა კონცხის სატუმროს პარკინგზე დააყენა, ერთ ძველ ბენტლისა და გაზიზინებულ შავ მერსედეს SLK-ს შორის. გადმოვიდა და ჰალსტუხი შეიხსნა. თენდებოდა იასამნისფერი დილა. პალმის ხეს რომ ჩაუარა, გააღვიძა მის ფოთლებში შეყუჟული ორი ჭრიჭინა. შემდეგ, შეიჭრა სასტუმროს მისაღებში, გააღვიძა (აგრეთვე) კონსიერჟი, გამოსძალა ოთახის ნომერი, კინაღამ სული დალია მოუთმენლობისგან, მერე ისევ გამოცოცხლდა, აფრინდა კიბეებზე და კარზე მიუკაკუნა თავის რჩეულს. მოგუდულმა ხმამ გამოსძახა:

– ვინ არის?

– ჩემო სიყვარულო, ჯონათანი ვარ, მაპატიე, რომ გაგაღვიძე. შენ ისე წახვედი, რომ არ დამემშვიდობე. მე კი ერთი შეკითხვა უნდა დაგისვა. ეს არის და ეს. მხოლოდ ერთი შეკითხვა, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი. შემდეგ წავალ და ძილს დაგაცლი, ჩემო სულო და გულო, ასეთ დღეში არასოდეს ვყოფილვარ. სულ ერთი წამით შემომიშვი, გემუდარები.

დრო გაქვავდა. გულისცემა სქელ ნოხში ჩაინთქა. ყრუდ გაისმა ნაბიჯების ხმა. ბედნიერების კარი შეიღო. გამოჩნდა თმაგაჩეჩილი თავი და საყვარელი სახე. ჯონათანმა დაიმორცხვა. შეშინდა. შიშმა კი, როგორც ჩანს, ხშირად კანკალი იცის. ბოლოს, როგორც იქნა, ჯონათანმა დასვა შეკითხვა, რომელიც გულს უღრღნიდა პლაჟზე სეირნობის შემდეგ:

"მითხარი, მმმ... გოგო ხარ თუ ბიჭი?"

მარტოობა მრავლობითში

მამაკაცი ალბათ არ გაჩენილა მარტოობისთვის, მაგრამ სულ მარტოა – დაქორწინებულიც კი მარტოა და მიტოვებულია პლანეტაზე, რომელიც ვარსკვლავთშორის სივრცეში მიქრის 29,79 კმ/წმ სიჩქარით. მამაკაცი იბადება, დარბის, ესწრაფვის ცხოვრებას, კითხულობს წიგნებს, დადის კინოში, იტანჯება, საუზმობს, კვდება. ზოგჯერ, ისიც ეჩვენება, რომ სამუდამო ბერბიჭობისთვის არ არის განწირული. ამ დროს, შეიძლება ვინმე შეუყვარდეს, ესე იგი, მოატყუოს ლამაზი ქალი, ასევე, საკუთარი თავიც. აბა, დავაკვირდეთ მოწყალე თვალით: ისე ცდილობს მოხიბლოს ვინმე, გეგონება, დეპუტატია და საარჩევნო კამპანია გააჩაღა. ნეტა, თუ ხვდება, რომ დანაპირებს ვერ შეუსრულებს? ამ დროს, იგი თავს ირწმუნებს, რომ ბედნიერია. დაქორწინდება, შვილები გაუჩნდება, ფერად ფოტოებს გადაიღებს და შეეცდება ეფემერის უკვდავყოფას. ამაღელვებელია მისი ღიმილი ამ ფოტოებზე. მკლავებზე გადაუწვენია სულ მთლად ვარდისფერი ჩვილი, რომელმაც ჯერ არ იცის, რომ ისიც, ბოლოს, მარტო აღმოჩნდება. ხელი კი მეუღლისთვის ჩაუკიდია (ნეტა, რატომ – რომ არ გაექცეს, თუ გული რომ გაიმხნევოს?).

იმ დღეს, როცა კაცი აღმოაჩენს, რომ მოტყუვდა, თვალებს ცას მიაპყრობს და ღვარად წამოუვა ცრემლი მზის

ქვეშ, რომელიც 152 მილიონი კილომეტრითაა დაცილებული დედამინას. დაიწყებს მიწაზე ხოხვას, რწყევას – ამ დროს ძალიან საცოდავია. უმორჩილესად გთხოვთ, აპატიოთ ეს ნაკლებად პატივსაცემი ეპიზოდი. მერე, როცა დარწმუნდება, რომ ყველა კაცს მარტოობა აქვს მისჯილი, საღამოობით გასართობად გასვლას დაიწყებს. მართალია, ზოგს მეტი დრო სჭირდება დასარწმუნებლად, ზოგს – ნაკლები, მაგრამ ყველას საბოლოო ხვედრი ასეთია: ხეტიალი ბარიდან ბარში, ქალაქიდან ქალაქში, ქალიდან ქალთან, ვიდეოკასეტების ყურება, ბოლინოს ნახევარფაბრიკატებით კვება, სარკის წინ ცეკვა, თავის მოჩვენება ვინმე სხვად, რამის წარმოება, მაგალითად, იოგურტების ან სუნამოების ან მანქანების ან რომანების, ყველაფერი ეს – იმისათვის, რომ ქალები გააგიჟოს (ამაოდ, რა თქმა უნდა, რადგან ერთადერთი, რაც ქალებს აგიჟებთ, ისაა, რაც არ იწარმოება).

მარტოხელა კაცებს ცუდი სუნი ასდით, რადგან არა ჰყავთ ცოლი, რომელიც დაბანის საჭიროებას შეახსენებდა. უცოლოს ხშირად იმით ამოიცნობ, რომ პირიდან ღვინის სუნი ამოსდის, დაუდევრადაა გაპარსული და მის ამყრალებულ პერანგს ერთი ღილი აკლია. იგი საცოდავია, შესაშური არაფერი აქვს. მხოლოდ ცოლიანს შეიძლება შეშურდეს მისი თავისუფლება, რადგან ვერ ამჩნევს უცოლო კაცის სასოწარკვეთილებას. ღმერთმა ხომ იცის, რომ მხოლოდ სასოწარკვეთილს შეუძლია, ჭამოს "ჰეფი მილ" ტელევიზორთან კვირა საღამოს, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც ან სენკლერი მიშელ ფილდმა შეცვალა.

ცოლიანი კაცი უეჭველად ცდება, როცა უცოლოსი შურს, მაგრამ სხვაგვარად არ შეუძლია. ეს შური მასზე

ძლიერია. ოცნებობს, რომ ყველა ქალი მის ფეხებთან დაეცეს, ჰგონია, რომ უცოლოს ირგვლივ ქალები ეხვევიან, რომ ლამაზი და თავგადასავლებით სავსე ცხოვრება აქვს, "უიქენდები" იტალიაში, ალერსიანი სიტყვები, ჩახლართული ფლირტები, ახალ-ახალი პოზები, და "იტინერისის" ავტომოპასუხეზე მინაზებული ხმით ჩაწერილი დანაბარები. მას აზრადაც არ მოსდის, რომ მარტოხელა კაცები ყოველ საღამოს ხელმოცარულები ბრუნდებიან შინ, იმათ გარდა, ვინც რომელიმე ბოის-ბენდის წევრია (ისიც მაშინ, თუ მოდაშია, რაც დიდხანს არ გრძელდება ხოლმე). საუკეთესო საბუთი იმისა, რომ უცოლოები საცოდავები არიან, ისაა, რომ ქალებს ისინი არ აინტერესებთ: ურჩევნიათ, თავიანთი საუკეთესო მეგობრების ქმრები შეაბან.

პირადად მე ქალთან ერთად ვცხოვრობ, იმიტომ რომ სუსტი ვარ. ვერც მარტო დარჩენას ვბედავ და ვერც დაქორწინებას. არსებობს ერთგვარი მხატვრული ბუნდოვანების ზონა დეპრესიულ ბერბიჭობასა და მოსაწყენ ქორწინებას შორის: დავარქვათ მას ბედნიერება. დაწყვილება საჭიროა ლაჩრების დასაცავად ამქვეყნიური სინამდვილისგან, რომელსაც წარმოადგენს სიკვდილი, წერს სელინი თავის რომანში "მოგზაურობა ღამის კიდეზე" (გამომცემელი ორივეს ერთი გვყავს). მაგრამ სიყვარული ის სიცრუეა, რომელსაც კარგი მხარეებიც აქვს, – ვფიქრობ ჩემთვის, როცა დელფინს მოფერებით ყურზე ვკბენ მთვარის შუქზე, რომელიც 384 400 კილომეტრის სიმაღლეზეა ჩამოკიდებული ჩვენს პატარა მიამიტ თავებს ზემოთ.